გაზეთი ბიჭვინთა, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№1 (1543) 3-9 თებერვალი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ახალი სკანდალური დარღვევები C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში

რა დასკვნა დადო სახელმწიფო აუდიტმა და
რას ედავებიან საუნივერსიტეტო კლინიკას

რა ფარულ გეგმას ამუშავებს ოპოზიცია

არის თუ არა ნაციონალურ მოძრაობაში კლანური ომი — ყველა პასუხი კულუარულ კითხვებზე

„ტელეფონის ნომრების შოუ“ ანუ „ცისფერი მთების“ პოლიტიკური რიმეიკი

ART-ვერსია

გაქცევა წარსულიდან



წასვლა დედამიწიდან

სერიული მკვლელობები თბილისსა და წყალტუბოში



რა აკავშირებდათ ერთმანეთთან სხვადასხვა ქალაქში მოკლულ ქალებს და როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეებზე

წარმატების ფორმულა

ბაიდენის ტრაგიკული ცხოვრება

ვინ არის და რა გზა გაიარა კამალა ჰარისმა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტობამდე

პრემიუმ კლასის ფრანგული კოსმეტიკა ALGOLOGIE — PSP-ში!

კარლ ჰარცელი: „მოვუწოდებ ყველა მხარეს, თავი შეიკავოს ამ პროცესში ნებისმიერი კარის ნაადრევად დახურვისგან“

საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმა პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნისა და მანდატების გაუქმების საკითხის განხილვის თაობაზე ისაუბრა:

„იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ჩანს, მოკლევადიან პერსპექტივაში პოლიტიკური დიალოგი ვერ უზრუნველყოფს ფართომასშტაბიანი შეთანხმების მიღწევას, კვლავაც მოვუწოდებ ყველა მხარეს, თავი შეიკავოს ამ პროცესში ნებისმიერი კარის ნაადრევად დახურვისგან, განსაკუთრებით ისეთი კარის, რომელიც, თუკი დაიხურა, სამუდამოდ დახურული დარჩება. საბოლოო ჯამში, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ინტერესებს ყველაზე უკეთ ის პარლამენტი მოემსახურება, რომელიც საქართველოს ყველა ამომრჩეველს წარმოადგენს. უთანხმოებების მოსაგვარებლად, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, სწორედ ამ მიზნის გათვალისწინებით უნდა განაგრძოს მუშაობა“.

„ჰოთნიუსი“

გიორგი გახარია: „ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შევძლოთ მუნიციპალური ტრანსპორტის ამოქმედება!“

„ჩვენ უკვე, ფაქტობრივად, ვასრულებთ მუშაობას გეგმაზე, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, მშვიდად, გონივრულად და თანმიმდევრულად დავიწყოთ ნაბიჯების გადადგმა იქით, რომ ქვეყანამ გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულის დასაწყისში, შეძლოს პირველი ტურისტების მიღება“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

მას კითხვით მიმართეს შეზღუდვების მოხსნასთან დაკავშირებით.

„არსებული შეზღუდვების სწრაფად მოხსნით არავინაა ისე დაინტერესებული, როგორც საქართველოს მთავრობა და პირადად მე, მაგრამ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ არასწორი, არაგონივრული და ნაჩქარევი გახსნა არის პირდაპირი მიზეზი იმისა, რომ შემდეგ ისევ დახურვა მოგვიწიოს. ამიტომ, ყველას უნდა გვესმოდეს, რომ აქ ბალანსის დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, რომელსაც მივყვებით. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ვირუსის გავრცელება ბევრად უფრო მართვადია და ვხედავთ, რომ ამ პროცესს ვმართავთ, შემიძლია გითხრათ – ამ გეგმის ცოტა უფრო სწრაფად განხორციელების შესაძლებლობა გვაქვს.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია სკოლა და მუნიციპალური ტრანსპორტის ამოქმედება. ეს არის ჩვენი პრიორიტეტი. ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რათა შევძლოთ მუნიციპალური ტრანსპორტის ამოქმედება და საკლასო ოთახებში ბავშვების მიყვანა. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი, შემდგომ – ეკონომიკის ის დარგები, რომელთაც ჩვენი ეკონომიკისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ტურიზმი. ჩვენ უკვე, ფაქტობრივად, ვასრულებთ მუშაობას გეგმაზე, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, მშვიდად, გონივრულად და თანმიმდევრულად დავიწყო ნაბიჯების გადადგმა იქით, რომ ქვეყანამ გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულის დასაწყისში, შეძლოს პირველი ტურისტების მიღება. ეს ყველაფერი რეალური და ობიექტურია და ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, მხოლოდ არ უნდა ვიჩქაროთ მოკლევადიანი, სწრაფი შედეგების მისაღწევად.

ძალიან კარგად მესმის რესტორნების, სასტუმროების, ტურიზმის სფეროში დაკავებული კომპანიების, მაგრამ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ გრძელვადიან შედეგზე და ეს უნდა გავაკეთოთ ერთად. გამოხატვის თავისუფლება ამ ქვეყანაში აქვს თითოეულ ადამიანს და ვერავინ ვერავის შეუზღუდავს უფლებას, გამოთქვას თავისი აზრი. ეს მათი უფლებაა. ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ რესტორნებთან, სხვა გასართობ დაწესებულებებთან ერთად ვიფიქროთ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და ეკონომიკის გრძელვადიან გახსნაზე“, – განაცხადა გახარიამ.

„ჰოთნიუსი“

დიმიტრი ხუნდაძე: „ვაქცინისგან თუ დადგა ზიანი, პასუხისმგებლობას აიღებს სახელმწიფო!“

პარლამენტმა ვაქცინის მისაღებად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები დაჩქარებული წესით განიხილა – ეს ვაქცინის მომწოდებელი კომპანიების ერთ-ერთი მოთხოვნაა. ამ ნაბიჯით, ვაქცინაციასთან დაკავშირებულ შესაძლო პრობლემებზე, პასუხისმგებლობას სახელმწიფო იღებს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, რომ საქართველო კოვიდვაქცინას ძალიან მალე მიიღებს, რომელსაც მედპერსონალი და საავადმყოფო პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეს.

„ვასრულებთ პირობას, რომ არ ჩამოვრჩეთ პროცესს და რაც შეიძლება მალე მივიღოთ ქვეყანაში მაღალი ხარისხის ვაქცინა, რომელსაც საერთაშორისო აღიარება ექნება. მე მინდა, კიდევ ერთხელ გავამახვილო მედპერსონალისა და კლინიკის პასუხისმგებლობის ყურადღება – შენახვისა და მოხმარების წესი აქვს ამ ვაქცინებს, მაგრამ თუ დადგა ზიანი არა მედპერსონალის დაშვებული შეცდომის გამო, ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობას აიღებს სახელმწიფო“, – აღნიშნავს დიმიტრი ხუნდაძე.

„ჰოთნიუსი“

აკაკი ბობოხიძე: „ხალხო, გარეჯის რაღაც ნაწილი არ არის საქართველო!“

„ხალხო, რომ იცოდეთ, გარეჯი არის ძალიან დიდი სამონასტრო კომპლექსი და დიახ, გარეჯის რაღაც ნაწილი არ არის საქართველო. ისტორიულად კი არა, ამ წუთში არ არის საქართველო და ის უდავოდ არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არც არავინ არ დავობს და ვერც შევედავებით“, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა, აკაკი ბობოხიძემ „ტვ პირველის“ ეთერში განაცხადა.

„არ მახსენდება პერიოდი, როდესაც ქართული საზოგადოებრივი აზრი იყო ხელისუფლების მხარეს და არ იყო პირიქით, აი, ამ ადამიანების (მელაშვილი-ილიჩოვა) მხარეს, ამიტომ მგონია, რომ პირველ რიგში, ქართული საზოგადოების დამსახურებაა, რომ დღეს ეს საქმე ასე დამთავრდა, რადგან ეს საქმე „ქართული ოცნებისთვის“ იქცა ტვირთად, რისთვისაც უნდოდათ ის ამოცანა, ნაწილობრივ უკვე შეასრულეს, გაქრა მეორე დღესვე – გარეჯი საქართველოა.

გარეჯი საქართველოა – აი, ეგ ლოზუნგი, რომ იცოდეთ, ამ ლოზუნგით გვაშანტაჟებენ. მე ვიტყოდი, ხალხო, რომ იცოდეთ, გარეჯი არის ძალიან დიდი სამონასტრო კომპლექსი და დიახ, გარეჯის რაღაც ნაწილი არ არის საქართველო, ისტორიულად კი არა, ამ წუთში არ არის საქართველო, ის უდაოდ არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არც არავინ არ დავობს და ვერც ვერავინ შევედავებით. თუ აზერბაიჯანი ამას დაგვითმობს თავისი კეთილი ნებით, არ ვიცი, რატომ უნდა დაგვითმოს, ეგ იქნება მხოლოდ მათი საქმე.

გარეჯის ერთი ნაწილი, რომელიც ჩვენ გვახსოვს, რომლითაც ადამიანის არაინფორმირებულობაზე, არ მინდა, სიტყვა უვიცობა ვიხმარო ზოგიერთთან, რაზე დაყრდნობითაც საქართველოს ხელისუფლება აპელირებს და ე.წ. ურაპატრიოტები, გარეჯი რაც ჰგონია ქართველი ხალხის დიდ ნაწილს, ის გარეჯი, ჩვენ რომ ბავშვობაში ექსკურსიებზე დავდიოდით, ის გარეჯი, ახლაც საქართველოს ტერიტორიაზეა. არც ეჭვქვეშ არ დამდგარა და მომავალშიც იქნება საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ჩვენ, ქართულ სახელმწიფოს გავუფრთხილდებით იმ საზღვრებში, რომელშიც ვართ.

საზღვრები ცვალებადია, თუ მას არ უფრთხილდება მისი რეალური მეპატრონე, ხანდახან შეიძლება შეიცვალოს. არის სადავო ნაწილი. დღეს ივერი მელაშვილმაც თქვა – „გარეჯი საქართველოა“, მაგრამ ხვალ და ზეგ ვიღაც აღმოაჩენს, რომ გარეჯის რაღაც ნაწილი არ არის საქართველო, რადგან მართლა არ არის საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე და რა გამოვა, ვატყუებთ ხალხს? ამიტომ, ერთხელ და სამუდამოდ – დიახ, გარეჯი საქართველოა, ურაპატრიოტულ ლოზუნგებში კი არ უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს, არამედ, უნდა ვთქვათ, დიახ, ეს არის პრობლემა, ეს არის ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა, ასევე, ქართველების ხელით შექმნილი, ოღონდ, ეს არის ისტორია. დღევანდელი საქართველო არის აღიარებული იმ საზღვრებში, რაშიც არის და იმისთვის, რომ ჩვენს სასარგებლოდ შევცვალოთ დღევანდელი საზღვრები, გვაქვს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებისა და მოლაპარაკების გზები“, – განაცხადა ბობოხიძემ.

„ჰოთნიუსი“

რა ფარულ გეგმას ამუშავებს ოპოზიცია

ნინო დოლიძე

„ტელეფონის ნომრების შოუ“ ანუ „ცისფერი მთების“ პოლიტიკური რიმეიკი

„ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ყველას გვინახავს, მაგრამ თქვენი არ ვიცი, პირადად მე, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე, ამ გენიალური ფილმის პერსონაჟი გავხდებოდი. ახლა, ისე არ გაიგოთ, რომ თავს არარსებულ გივისთან ან, სულაც, გურამ პეტრიაშვილის გმირთან ვაიგივებ, აი, მთელ ფილმში მხოლოდ ის მისია რომ აქვს, ბიუროკრატებით გამოტენილ კაბინეტში შევარდეს და იღრიალოს, გაანებე, ჩემს ცოლს თავიო. დიახ, არც გივი ვარ და არც – გურამ პეტრიაშვილის გმირი, მაგრამ იცით, საქმე რაშია? რაში, თქვენი გულისა და, იმაში, რომ მხოლოდ მე ან შენ კი არა, არამედ, მთელი ქვეყანა „ცისფერ მთებში“ ვცხოვრობთ.

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, კეთილი იყოს თქვენი მობფრძანება ელდარ შენეგელაიას „დაუჯერებელ ამბავში“ ანუ აბსურდის თეატრში. თეატრში, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებული მსახიობები კი არა, წესით, განსაკუთრებული რეჟისორიც უნდა ჰყავდეს, თუმცა მოდით, ამ ეტაპზე, ამ პოლიტაბსურდის დრამატურგიაზე არ ვიმსჯელოთ და იმის გარკვევას შევეცადოთ, რა და რატომ გვჭირს.

ყველაფერი რამდენიმე თვის წინ, კერძოდ, 2020-ის 31 ოქტომბერს დაიწყო. ბოლომდე გულწრფელები თუ ვიქნებით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ის შედეგი, რომელიც არჩევნებზე დადგა, უცხო არავისთვის იყო. ყოველ შემთხვევაში, იგივე ოპოზიციას უფრო მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, არც დარღვევები იქნებოდა და არც – გაყალბება, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. კერძოდ, ოპოზიცია, ელისაშვილ-იოსელიანსა და რამდენიმე ექსპატრიოტს თუ არ ჩავთვლით, პარლამენტში შესვლას არ აპირებს და, მეტიც, ითხოვს, რომ დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდეს. „ოცნება“ ამაზე არ მიდის, ესე იგი, ოპოზიციის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს და ამას იმით ხსნის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების დაცვას ცდილობს, მაშასადამე, ოპოზიციის საკანონმდებლო საბოტაჟს ებრძვის.

დავუშვათ, ასეა, მაგრამ მთელი ამ ამბის ტრაგიზმი ისაა, რომ კანონი აღარავის ახსოვს ანუ იგივე კონსტიტუციასა და მასზე დაქვემდებარებულ სხვა დოკუმენტებშიც აღნიშნულია, რომ ადამიანს საჯარო სამსახურის დაკავებას ვერავინ აიძულებს. დეპუტატობაც საჯარო სამსახურია და, შესაბამისად, იმის დაჟინება, შენ არ გინდა, მაგრამ დეპუტატი მაინც უნდა იყოო, მინიმუმ, ადამიანის უფლებების შელახვაა.

ისე, თანამედროვე სამყაროში, ვის-ვის და, ღვთისმშობლის წილხვედრელებს უფლებების შელახვა არ უნდა გვიკვირდეს, მაგრამ აქ და ახლა იმაზეა საუბარი, რომ მხოლოდ ადამიანების კი არა, კანონების, მათ შორის, კანონთა კანონის ანუ კონსტიტუციის უფლებებიც ილახება. არადა, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე იცოდნენ ადამიანებმა, რომ ბელადები შეიძლება შეცდნენ, კანონები კი არასოდეს ცდებიან!

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დავსვათ კითხვა – ვინ რჩება მოგებული, ქვეყანაში არსებული ვითარებით? მოდით, გვეყოს გამბედაობა და ვთქვათ, რომ ის, რასაც რამდენიმე თვეა ვუყურებთ, მხოლოდ ხელისუფლებას კი არა, ოპოზიციასაც აწყობს.

რატომ? – ამ კითხვაზე ცოტა ვრცელი პასუხი გამოვა, მაგრამ არა უშავს – მთავარია, „ძაღლის თავი“ ვიპოვოთ და ამ შემთხვევაში, გრძელი პასუხიც ასატანია.

დავუშვათ, „ოცნებამ“ ოპოზიციის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, მათ შორის, ისიც აღიარა, რომ 31 ოქტომბრის არჩევნები გაყალბდა და ამიტომ, ახალი საპარლამენტო კენჭისყრა უნდა გაიმართოს.

ამ გადაწყვეტილებას „ანტიოცნებელები“, რაღა თქმა უნდა, ჟივილ-ხივილით შეხვდებიან და გულზე მჯიღს დაირტყამენ, აი, მმართველმა გუნდმა უკან დაიხიაო, თუმცა ეს ტაშ-ფანდური მოჩვენებითი, ესე იგი, ფასადური იქნება, რადგან თუ სერიოზულად „ჩააანალიზებთ“, „ოპოებს“ სამხიარულოდ საქმე ნადვიალდ არ ექნებათ და აი, რატომ:

მხოლოდ ზრდასრულებმა კი არა, ბავშვებმაც იციან, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო ატრიბუტი ფულია. ამ მხრივ, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა და, მათ შორის, საქართველოც გამორჩეულია, რადგან აქ ადამიანები ამა თუ იმ პარტიის პროგრამას კი არა, ლიდერს აძლევენ ხმას, თან იმის იმედით, რომ ეს ლიდერი მისი, მისი მამიდაშვილის ბიძაშვილის რძლის მეზობელი, ესე იგი, ახლობელია და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „ზევით“ სიტყვას შეაწევს.

ასეთი დამოკიდებულება, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ ყველაზე ცუდი და მარაზმული კი მაინც ისაა, რომ ჩვენთან არჩევნების ბედი „ჯიგრულ ქართულად“ წყდება.

ახლა, ვერ გეტყვით, რომ ოპოზიციას ჯიგარი არ აქვს, მაგრამ აი, რაც შეეხება ფულს, „ანტიოცნებელების“ ყულაბა ცარიელია. ყოველ შემთხვევაში, იმდენი „მანი“ არ აქვს, რომ ვთქვათ, შემოდგომაზე ორი არჩევნები – ადგილობრივი და მასთან ერთად დანიშნული, ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩაატაროს. ამიტომაც, როგორც ჩვენი წყაროები გვეუბნებიან, ოპოზიციაში მუშავდება გეგმა, რომ ახალი არჩევნები წელს კი არა, გაისად, ესე იგი, 2022 წელს ჩატარდეს.

ვერ გეტყვით, ამაზე „ოცნება“ დასთანხმდება თუ არა, მაგრამ ვთქვათ, მოხდა სასწაული და მმართველმა გუნდმა ოპოზიციის შეკვეთილი მუსიკა „მიიღო“, მაშინ გამოვა, რომ მინიმუმ, ერთ წელს, ოპოზიცია დროს მოიგებს და ფინანსებსაც მოიზიდავს, თუმცა ერთი წლის მერე, შესაძლოა, ფინანსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარც ჰქონდეს, რადგან ყველანი ვხვდებით, რომ ჯერ ერთი, ეკონომიკური თვალსაზრისით, უმძიმესი გაზაფხული გველის, რის გამოც ხალხი პოლიტიკური ინსტემბლიშმენტის რწმენას საერთოდ დაკარგავს.

მეორეც, ხმა დადის, რომ ძალიან მალე, ქართულ პოლიტიკურ ველში სერიოზული ცვლილებები იქნება და შესაბამისად, ძალიან ბევრი რამ შეიცვლება.

ჩვენი გამოცემა, ბუნებრივია, დაინტერსდა, რა ცვლილებებზეა საუბარი, თუმცა ინფორმატორებმა მეტი დაკონკრეტება არ ისურვეს და უბრალოდ, გვითხრეს, რომ დაველოდოთ და ყველაფერი მალე გამოჩნდება.

ერთი სიტყვით, ასეთი ვითარებაა ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე, მაგრამ საკითხავია, რომელი მხარეა მოგებული – ხელისუფლება თუ ოპოზიცია? მედლისა არ იყოს, ამ კითხვასაც ორი მხარე აქვს ანუ თუ გავყვებით დასავლეთის პოზიციას, რომელიც ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოგებული „ოცნებაა“, მაგრამ თუ მსჯელობას იმ კუთხით გავაგრძელებთ, რომ ბოიკოტი და პროტესტი დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, მაშინ უპირატესობა ოპოზიციას ექნება.

მთელ ამ აბრაკა-დაბრაში კი ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ პოლიტიკური მოთამაშეების კინკლაობით, ყველაზე ძალიან რიგითი ანუ როგორც „მუშკეტერი“ პაატა იმნაძე იტყოდა, ჩვეულებრივი ადამიანები ვზიანდებით. ვზიანდებით, რადგან თითოეულ ჩვენგანს გვაქვს განცდა, რომ ჩვენი ბედი ერთ პოლიტიკურ მოთამაშესაც არ აინტერესებს და საკენკად სანახობას გვიყრიან.

სანახობა კი, როგორც იტყვიან, არ გვაკლია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თებერვალს, „ტელეფონის ნომრების გასაჯაროვების“ შოუ ვიხილეთ. სხვა თემაა, პირადი ინფორმაციის გახმაურება რამდენად კანონიერია, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ძირითადი პრობლემიდან ყურადღების გადატანა ხდება ანუ, როგორც ჩანს, უძველესი სიბრძნე – პური და სანახაობა, 21-ე საუკუნის საქართველოში, ისევ წარმატებით მუშაობს.

დიახ, დიახ, ამხანაგებო, ჩვენ სანახაობა თავზე საყრელი გვაქვს. ისე, მაღაზიებში პურიც იყიდება, თუმცა ტრაგიკული ისაა, რომ პური, რომელიც არსებობისთვის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტია, გაძვირებულია და მის ყიდვას უფრო და უფრო მეტი ადამიანი ვერ ახერხებს.

ჰოდა, ამ ვითარებაში რა უნდა ვთქვათ?

სათქმელი ბევრია, თუმცა არსებულ რეალობას ყველაზე კარგად, ილიას უკვდავი სიტყვები შეეფერება:

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“

და მართლაც: „ჩვენისთანა ბედნიერი, განა, არის სადმე, ერი?!“

პრემიუმ კლასის ფრანგული კოსმეტიკა ALGOLOGIE – PSP-ში!

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

პირველად საქართველოში, პრემიუმ კლასის პროფესიონალური ფრანგული კოსმეტიკა ALGOLOGIE („ალგოლოჟი“) უკვე PSP-შია! „ალგოლოჟის“ თავის მოვლის საშუალებების მთავარი შემადგენელი კომპონენტი ოკეანის წყალმცენარეებია. პროდუქტები მდიდარია A, B1, B3 (PP), B5, B6, B12, C, E, K, D ვიტამინებითა და 17 დასახელების მიკროელემენტით. ასორტიმენტი აერთიანებს სახისა და სხეულის მოვლის მრავალფეროვან საშუალებებს. „ალგოლოჟი“ ააქტიურებს ჯანსაღი კანისთვის საჭირო ექვს ფუნქციას: ატენიანებს, კვებავს, ჟანგბადით ამარაგებს, აღადგენს, აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და გიცავთ. მოკლედ, ოკეანის ენერგია – იდეალური კანისთვის! რაც მთავარია, „ალგოლოჟი“ არ შეიცავს პარაბენებს, სილიკონსა და ფტალატებს!

„ალგოლოჟი“ პროფესიონალური ფრანგული კოსმეტიკაა, რომელიც სახლის პირობებში, სახისა და სხეულის მოვლის საშუალებების სრულ ასორტიმენტს მოიცავს. ალგოლოჟის კვლევითი ლაბორატორია საფრანგეთში, ბრეის არქიპელაგის სიახლოვეს მდებარეობს. ეს კოსმეტიკა ზღვის სიღრმეებში მოპოვებული წყალმცენარეებისგან მზადდება.

ბრეის არქიპელაგთან ახლოს, გოლფსტრიმის დინება ხვდება ცივ, არქტიკულ დინებას და შედეგად, 4-კილომეტრიანი ქვიშის დიუნები ბუნებრივ ბარიერად გვევლინება, რომელიც ბრეის არქიპელაგის ზღვის არსებებსა და წყალმცენარეებს იცავს.

სწორედ აქ მოპოვებული, 100%-ით ეკოლოგიურად სუფთა, სხვადასხვა სახის 800 წყალმცენარეს იყენებენებენ „ალგოლოჟის“ სახისა და ტანის მოვლის საშუალებების დასამზადებლად. მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევებისა და დაკვირვებების შედეგად, წყალმცენარეებისაგან მიღებული აქტიური კომპონენტების გამოყენებით, უნიკალური ALGO-4 კომპლექსი შეიქმნა, რომელიც „ალგოლოჟის“ ყველა პროდუქტის შემადგენლობაში გვხვდება.

„ალგოლოჟის“ პროდუქცია 99.9%-ით ნატურალური კომპონენტებისგან მზადდება, რომელთა შემადგენლობაში არ შედის პარაბენი, სილიკონი და ფტალატები, რაც კანს აზიანებს. უნიკალური ტექნოლოგიის წყალობით, თავის მოვლის ამ საშუალებებს აქვთ უნარი, რომ სხვადასხვა დონეზე, კანის უჯრედებს უწყვეტად მიაწოდონ წყალმცენარეების გადამუშავებით მიღებული აქტიური კომპონენტები.

რატომ წყალმცენარეები? – იმიტომ, რომ წყალმცენარეები ზღვის წყლისგან სასარგებლო მინერალებისა და მიკროელემენტების შეწოვის უნარით გამოირჩევიან. მათ ძლიერი თავდაცვითი უნარებიც გააჩნიათ, რითაც სხვა მცენარეებისგან განსხვავდებიან. წყალმცენარეები მარტივად ეგუებიან არახელსაყრელ გარემოსაც. ისინი დიდი ოდენობით შეიცავენ A, B1, B3 (PP), B5, B6, B12, C, E, K, D ვიტამინებსა და ისეთ მინერალებს, როგორებიცაა იოდი, რკინა, კალციუმი, ქლორი, ნატრიუმი, მაგნიუმი, თუთია, ფოსფორი და სელენი... ყველაფერს, რაც კანის სიგლუვისა და სიჯანსაღის შესანარჩუნებლადაა აუცილებელი.

წყალმცენარეები პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების საუკეთესო წყაროა, რაც კანის ლიპიდური ბარიერის აღდგენისთვის საჭირო „საშენი“ მასალაა.

რაც მთავარია, ნებისმიერი ადამიანი იმსახურებს, რომ სახისა და სხეულის მოსავლელად საუკეთესო პროდუქცია აირჩიოს, რომლის ყველა ინგრედიენტის შესახებ იცის და რომელსაც ენდობა.

ალგოლოჟი
არმორ • საფრანგეთი

ბრეტანის ზღვის წყალმცენარეების ახალგზარდობის ჯადოსნური ძალა

algologie ARMOR • FRANCE

PSP

ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

რატომ არ ვრცელდება ე.წ. ჯიხურების შეღავათები რეგიონებში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

16 იანვარს, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძე ერთხმად აირჩიეს. მმართველი პარტიის ყრილობაზე, რომელიც საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გაიმართა, პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობაც დაასახელეს. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, „ქართული ოცნება“ ერთიანი გუნდია, რომელსაც 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, მოსახლეობამ ნდობა მესამედ გამოუცხადა, ოპოზიცია კი არჩევნების ლეგიტიმურობასთან ერთად, ეჭვქვეშ მმართველი პარტიის ერთიანობასაც აყენებს. ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩიათ, რომ „ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე გავლენიანი კლანია, მათ შორის, ირაკლი კობახიძისა და კახა კალაძის. ხელისუფლების ოპონენტების აზრით, კალაძისა და კობახიძის კლანები ერთობლივად უტევენ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას და სახელისუფლებო ვერტიკალიდან მის ჩასაჩოჩებლად, ძალებს არ იშურებენ.

იქცა თუ არა მეწარმეების ხელშეწყობის პროექტი „ოცნებაში“ განხეთქილების ვაშლად

დიდი ხანია, რაც ოპოზიცია ხელისუფლების მოსალოდნელი თუ სავარაუდო რღვევის შესახებ კონსპირაციულ თეორიას ანვითარებს. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლისა და პარტიის თავმჯდომარის პოსტის დატოვების შესახებ, ოპოზიციამ, ამ კონტექსტში განიხილა. მეტიც, პარლამენტის დეპუტატების – ბექა დავითულიანის, მაია ბითაძისა და ირაკლი ზარქუას ინიცირებული კანონპროექტიც კი, რომელიც საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ“ ცვლილებებს გულისხმობს, სწორედ ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირების მტკიცებულებად მიიჩნია. საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე ბექა დავითულიანმა, რომელიც იმავდროულად, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრია, „ვერსიასთან“ ინტერვიუში, ოპოზიციის ამ მოსაზრებაზე გულიანად იცინა, მაგრამ ამაზე ქვემოთ. მანამდე, კანონპროექტი განვიხილოთ.

* * *

ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც მეათე მოწვევის პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა, იმ მეწარმეებისა და ბიზნესსუბიექტების ხელშეწყობას გულისხმობს, რომლებიც პანდემიის ან ეპიდემიის პირობებში დაზარალდნენ. კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები ბექა დავითულიანი, მაია ბითაძე და ირაკლი ზარქუა არიან. ოპოზიცია სამივე მათგანს კალაძის კლანის წევრებად განიხილავს და აი, რატომ: ბექა დავითულიანი თბილისის საკრებულოს წევრი და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე იყო, ირაკლი ზარქუა – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მაია ბითაძე – დედაქალაქის მერის ანუ კახა კალაძის მოადგილე გახლდათ.

დასასრული მე-8 გვერდზე

არის თუ არა ნაციონალურ მოძრაობაში კლანური ომი – ყველა პასუხი კულუარულ კითხვებზე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მართალია, ექსპატრიოტ ფრიდონ ინჯიასა და სხვების მსგავსად, „მოქალაქე“ ალეკო ელისაშვილი, თანაპარტიელ ლევან იოსელიანთან ერთად, პარლამენტში შევიდა, მაგრამ ოპოზიციისთვის ეს არაფერს ნიშნავს ანუ მართლმორწმუნე „ანტიოცნებელები“ დარწმუნებულნი არიან, რომ ყველაფერ ამით, საკანონმდებლო ორგანო მრავალპარტიულობის იმიჯს მაინც ვერ დაიბრუნებს. ამასთან, საგულისხმოა მოარული ხმა, რომ ნაციონალურ მოძრაობაში დიდი კლანური დაპირისპირებაა. კერძოდ, საუბარია ნიკა მელიას, მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის დაჯგუფებებზე, რომლებიც გავლენებისთვის ერთმანეთს ებრძვიან. ინფორმატორები იმასაც ამბობენ, რომ გრიგოლ ვაშაძის წასვლით, ნაციონალური მოძრაობის მორიგი დაშლა დაიწყო და მალე პარტიიდან კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ფიგურა წავა. პარალელურად, ამბობენ, რომ ოპოზიციაში კიდევ ერთი, დიდი გაერთიანება იქმნება, რომელშიც ევროპული საქართველო, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო“ და „გირჩის“ ზურაბ ჯაფარიძის ფრთა შევა. ამ ფონზე საკითხავია, ნაციონალური მოძრაობა და მის ფრთის ქვეშ გაერთიანებული პარტიები მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს დაკარგავენ თუ არა? – ამ თემებზე „ვერსია“ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიურ წარმომადგენელ ზვიად კუპრავას ესაუბრა. სხვათა შორის, ამ დღეებში, ნიკა მელიამ საზოგადოებას „ნაცმოძრაობის“ 12 ახალი სახე წარუდგინა.

ზვიად კუპრავა: „პარტია, რა თქმა უნდა, ნიკა მელიას ჯგუფია!“

ზვიად კუპრავა: – ნიკა მელია პარტიის თავმჯდომარეა, რომელიც ყველაზე დემოკრატიული პროცესების შედეგად იქნა არჩეული და პარტია, რა თქმა უნდა, ნიკა მელიას ჯგუფია.

– ესე იგი, მიხეილ სააკაშვილსა და ნიკა მელიას შორის ისეთი დაპირისპირება არაა, რომ პარტიაში ძლიერი რყევები ვიხილოთ?

– არა, მსგავსი მართლა არაფერია. აზრთა სხვადასხვაობა ნორმალური პროცესია, თუმცა ნიკა მელიას მხარდამჭერები, თავისთავად, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები არიან და პირიქით. სხვათა შორის, პარტიის თავმჯდომარე, ნიკა მელიასა და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერმა, 21 000-მა ადამიანმა აირჩია.

ახლა პარტია ძალებს იკრებს, რაც ყველაზე კარგია. რებრენდინგი მიმდინარეობს – ნიკას პარტიის განვითარების ძალიან კარგი ხედვა აქვს და პარტიამ საზოგადოებას ახალი სახეები უკვე გააცნო. ჩვენ საზოგადოებას, მათ შორის, საერთაშორისოსაც დავუმტკიცებთ, რომ არჩევნები ნამდვილად გაგვიყალბეს და „ოცნებამ“ ხელისუფლება მოიპარა.

ნიკა იანვარში გახდა პარტიის თავმჯდომარე და დრო სჭირდებოდა, რომ ის ხარვეზები, რაც პარტიაში იყო, აღმოფხვრილიყო. თებერვლიდან კი საპროტესტო აქციებს დავიწყებთ, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს და ხელისუფლება შეიცვალოს.

– ისე, დაპირისპირებას არც მაშინ აღიარებდით, როცა გიგა ბოკერიას ჯგუფი წავიდა პარტიიდან... რეალური პროცესების დამალვას ახლაც ხომ არ ცდილობთ?

– არა, მსგავსი არაფერი ხდება. 2016 წელსაც, როდესაც ბოკერიას გუნდი წავიდა და 2020 წელსაც, როცა გრიგოლ ვაშაძე წავიდა, ჩემთვის უცხო არ ყოფილა. ვაშაძემ თავად დააფიქსირა პოზიცია პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით, რომელიც აბსოლუტურ კონტრასტში მოდიოდა მხარდამჭერებთან და შესაბამისად, პარტიის თავმჯდომარედ ვერ დარჩებოდა.

– გამოდის, რომ ვაშაძის წასვლა პარლამენტში შესვლის საკითხმა განაპირობა?

– მათ შორის, ალბათ. ამიტომაც გადაწყვიტა, ეს ნაბიჯი გადაედგა.

– მოარული ხმითვე, პარტიაში კიდევ არიან ისეთი ფიგურები, რომელთაც პარლამენტში შესვლა უნდათ და შეიძლება, პარტიაც დატოვონ. სალომე სამადაშვილსა და თინა ბოკუჩავაზე იყო საუბარი. პარლამენტში არშესვლაზე, პარტიაში ერთსულოვნებაა?

– აბსოლუტური ერთსულოვნებაა. ვინმეს პარლამენტში შესვლა უნდა? ეგრე არ არის... სალომე სამადაშვილი პარლამენტზე დახამებული, მგონი, არ უნდა იყოს! ის მიიჩნევდა, რომ პარლამენტში შესვლა იქნებოდა სწორი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება პარტიამ ბოიკოტის სასარგებლოდ მიიღო და შესაბამისად, განცხადება ყველა დეპუტატმა დაწერა.

– რებრენდინგი იმასაც გულისხმობს, რომ პარტიას მნიშვნელოვანი ფიგურებიც დატოვებენ?

– პარტია ცოცხალი ორგანიზმია და თუ ვინმე დატოვებს, ეს თავისი სურვილით მოხდება. პარტიას იძულებით არავის დაატოვებინებენ, თუმცა არ მგონია, ვინმემ დატოვოს.

– ზვიად, ამბობენ, რომ „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ლელო“ ახალ გაერთიანებას ქმნიან. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობა მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს დააკარგავს?

– ნაციონალურმა მოძრაობამ ხმათა იმაზე მეტი რაოდენობა აიღო, ვიდრე დანარჩენმა ოპოზიციამ ერთად. მსგავსი ოპოზიციური გაერთიანების შესახებ მეც მსმენია, თუმცა მიმაჩნია, რომ ჯერ ივანიშვილია დასამარცხებელი გაერთიანებული ძალებით და ამის რეცეპტი ერთიანი, მონოლითური ოპოზიციაა. ამის შემდეგ, თუ ვინმეს გაშლა უნდა, პრობლემა არაა. მოკლედ, მსგავსი გაერთიანების შექმნას სკეპტიკურად ვუყურებ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გაერთიანება თქვენი კონკურენტი იქნება და „ნაცმოძრაობას“, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალას, ჩაანაცვლებს?

– ნაციონალურ მოძრაობას ვერ ჩაანაცვლებს... რვა წელია, ივანიშვილი ნაციონალურ მოძრაობას ებრძვის და აქამდე ვერ მოხერხდა ამ პარტიის დასუსტება, სტაბილურად მზარდი მხარდაჭერა აქვს. ამის საფრთხეს ვერ ვხედავ, უბრალოდ, თუ ვინმე ამას გააკეთებს, თავად დაზიანდება და საერთო ბრძოლას დააზიანებს.

– მმართველი პარტიის დამარცხებას, ორი ძლიერი, ოპოზიციური გაერთიანება უკეთ ვერ შეძლებს?

– გაერთიანებაში, ერთმანეთს შორის კოორდინაციას ვგულისხმობ, თორემ აუცილებელი არაა, პარტიების ერთ სუბიექტად გაერთიანება. ივანიშვილის დამარცხების მთავარი გასაღები ნაციონალური მოძრაობაა.

– ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ ბოიკოტის გარდა, ოპოზიციას რა კონკრეტული გეგმა აქვს?

– ბოიკოტი თვითონაა გეგმის ნაწილი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მსგავსი ტიპის ბოიკოტი არ დაფიქსირებულა ანუ ეს ბოიკოტი პირველი ამოცანაა, რომელიც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

არ ვიცი, ელისაშვილი რატომ ლაპარაკობს... ზოგადად, შიდა საუბრები, რომელიც ელისაშვილმა გამოიტანა, ლამაზი არაა – მასვე ასუსტებს და მის პიროვნებაზე მეტყველებს. არ არის სწორი საქციელი მისი მხრიდან. ჩვენი გეგმა კონკრეტული პრეზენტაციაა, რომელსაც გავმართავთ. ბოიკოტს პლუს ზეწოლა, მშვიდობიანი აქციების სახით – ეს არის გასაღები ვადამდელი არჩევნებისთვის. ჩვენ ხელისუფლების ცვლილება მხოლოდ ვადამდელი არჩევნებით გვინდა.

– ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ითხოვთ?

– თარიღი გაზაფხულამდე მიიღწევა და თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად იქნება, რატომაც არა?!

– ისე, ელისაშვილის პარლამენტში შესვლას როგორ აფასებთ, ამით საკანონმდებლო ორგანოს მრავალპარტიულობის საკითხი გვარდება?

– არა! ინჯიამ გამოასწორა რამე? უბრალოდ, ელისაშვილი ახალგაზრდა ინჯიაა, მეტი არაფერი. როგორც ფრიდონ ინჯიას შესვლით არ შეცვლილა არაფერი, ასევე, არაფერი შეიცვლება ელისაშვილის დამატებით. პარლამენტს არ ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა და ვერ მიიღებს კონსტიტუციის რეფორმას – 100 დეპუტატზე ნაკლები იქნება, რაც თავისთავად, ერთპარტიულ პარლამენტს ნიშნავს.

– მოკლედ, ნაციონალურ მოძრაობაში კლანურ დაპირისპირებას გამორიცხავთ, არა?

– დიახ, მსგავსი რამ არ არსებობს, დისკუსია შეიძლება იყოს, მაგრამ დღეს პარტიაში კლანები არ არსებობენ. როცა მსგავსი რამ არსებობდა, ცუდი იყო, ვგულისხმობ 2016 წელს, ბოკერიას წასვლა რომ ახსენეთ პარტიიდან, მაგრამ დამთავრდა ყველაფერი ეს და არ ღირს ყურადღების გამახვილება. დღეის მდგომარეობით, პარტია ერთსულოვანია ივანიშვილთან ბრძოლის სტრატეგიასა და მიზნებში. ერთ აზრზე ვართ, რომ ვადამდელი არჩევნები კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი რეცეპტია.

ახალი სკანდალური დარღვევები C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რა დასკვნა დადო სახელმწიფო აუდიტმა და რას ედავებიან საუნივერსიტეტო კლინიკას

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ჯანდაცვის სფეროს ჩაუჯდა და სკანდალური დასკვნაც გამოაქვეყნა. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტორები ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკით (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო) დაინტერესდნენ. ესაა 2015-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი, რომლის შედეგად გაირკვა, რომ კლინიკა სახელმწიფო შესყიდვებს საკმაოდ სერიოზული დარღვევებით ატარებდა. გარდა ამისა, დარღვევები გამოვლინდა C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამასა და დებიტორულ დავალიანებებშიც.

დარღვევები შესყიდვებში

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა. 2015 წლამდე, მას საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საწარმოთა მართვის სააგენტო“ მართავდა, ხოლო 2015 წლის სექტემბრიდან, პარტნიორის უფლებამოსილება გადაეცა ს/ს „საპარტნიორო ფონდს“. 2017 წლის მარტიდან 2020 წლის მარტამდე, ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“ მართავს, რომელიც „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილი კომპანიაა.

ორგანიზაციის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, ხელმძღვანელობა კი დირექტორის მიერ ერთპიროვნულად, კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად ხორციელდება. კომპანია სამედიცინო პროფილის ლიცენზირებული საწარმოა, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სტაციონარული, ამბულატორიული, პოლიკლინიკური, გადაუდებელი, დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური, საექსპერტიზო და სარეაბილიტაციო მომსახურებები.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2015-2017 წლებში კლინიკამ 37 222 108 ლარის ღირებულების 1 272 ერთეული შესყიდვა განახორციელა. აქედან ტენდერით შესყიდვების მოცულობა 96.5%, დანარჩენი კი გამარტივებული შესყიდვები იყო. აუდიტის ჯგუფმა 21 732 807 ლარის ღირებულების 131 ელექტრონული ტენდერი შერჩევით შეისწავლა და ისეთი ხარვეზები გამოავლინა, როგორებიცაა: შესყიდვების დაგეგმვა; ბაზრის კვლევა (მათ შორის, წარუმატებელი ტენდერები); კონკურენცია; ტექნიკური დოკუმენტაციის არსებითი ცვლილება; შემსყიდველის პირობების გაუარესება და ტენდერების ორგანიზება; ინტერესთა კონფლიქტი.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შესყიდვების გეგმებით განსაზღვრული მოცულობები კლინიკის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამებიდა, რის გამოც ტენდერები ცხადდებოდა საქონლისა და მომსახურების საჭიროზე მეტი რაოდენობების მოთხოვნით. შესაბამისად, ფაქტობრივი ათვისებები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სახელშეკრულებო ღირებულებებს. კერძოდ, აუდიტორების შესწავლილ 131 ტენდერში, სახელშეკრულებო ღირებულებების საშუალო ფაქტობრივი ათვისება მხოლოდ 48% იყო. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს კლინიკაში შესყიდვების დაგეგმვის პროცესის ნაკლოვანებებსა და კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე.

მეტიც, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შესყიდვების ინდივიდუალური დაგეგმვისას, კლინიკა სათანადოდ არ ახორციელებდა ბაზრის კვლევას, რაც დაბალ კონკურენციას და ტენდერების უშედეგოდ დასრულებას იწვევდა. მეტიც, სწორედ ეს ხარვეზები ქმნიდა საბაზრო ღირებულებასთან შედარებით მაღალ ფასად შესყიდვის რისკს.

„კლინიკამ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, დაზუსტების ეტაპზე, არსებითად შეცვლილი სატენდერო წინადადებების გამო, პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია არ განახორციელა და ჯამში, 469 538 ლარის ხელშეკრულებები გააფორმა. მეტიც, სატენდერო პირობების დარღვევით, კლინიკამ ხუთ შემთხვევაში, კონტრაქტორებს ჯამურად 50 833 ლარით გაუზარდა ხელშეკრულების ღირებულება.

სატენდერო დოკუმენტაციაში მიწოდების ვადების შესახებ დეტალური ინფორმაციის არარსებობამ კი კონკურენცია შეზღუდა. ამასთან, კლინიკამ ორ შემთხვევაში ისე გამოაცხადა გამარჯვებულად ერთი პრეტენდენტი, რომ წარდგენილი წინადადების შესაბამისობა სატენდერო პირობებთან დადგენილი არ ჰქონია. ყოველივე ეს, სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკს ზრდის“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ამავე დასკვნის მიხედვით, საუნივერსიტეტო კლინიკამ ექოსკოპიის ერთი აპარატის შესაძენად 10 ტენდერი ჩაატარა, რის გამოც შესყიდვის პროცესი 22 თვე გაგრძელდა. ტენდერების პარალელურად, ექოსკოპიის აპარატის იჯარით სარგებლობაში კლინიკამ 75 908 ლარი გადაიხადა. გარდა ამისა, შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევით, ექოსკოპიის აპარატით მომსახურებაზე ტენდერის გამოცხადების ნაცვლად, კლინიკამ პირდაპირ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება კერძო კომპანიასთან, რომლის დირექტორსა და კლინიკის დირექტორს შორის ინტერესთა კონფლიქტი გამოიკვეთა. ეს კი საგადასახადო კოდექსის უხეში დარღვევა და უკანონობაა:

„კლინიკის დირექტორმა, როგორც სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, 12 შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, არ გააკეთა თვითაცილება და მონაწილეობა მიიღო საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვა-შერჩევა-შეფასებაში. მათ შორის, ოთხ ტენდერში, გამარჯვებულად გამოცხადდნენ ისეთი კომპანიები, რომელთა დირექტორებსა და კლინიკის დირექტორს შორის არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი, რამაც არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკი წარმოქმნა. ამასთან, აღნიშნული შემთხვევები მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და კლინიკის იმჟამინდელი დირექტორის დაჯარიმებას ითვალისწინებდა, თითოეულ შემთხვევაზე – 1 500 ლარის ოდენობით“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, საუნივერსიტეტო კლინიკა, სსიპ „სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს“ რეგულარულად არ აწვდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ. არადა, ეს უკვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა, რის გამოც კლინიკის ხელმძღვანელი 1 500 ლარით უნდა დაჯარიმებულიყო.

C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა

აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამას 2016 წლიდან ახორციელებს. 2016-2017 წლებში, ამ პროგრამის მკურნალობის კომპონენტში 354 პაციენტი ჩაერთო, რომლებიც უფასოდ იღებდნენ ახალი თაობის ძვირადღირებულ მედიკამენტებს – „ჰარვონს“, „სოვალდის“, „პეგილირებულ ინტერფერონსა“ და „რიბავირინს“. პროგრამის ფარგლებში, პაციენტებს ნაწილობრივ უფინანსდებოდა მკურნალობის წინა სადიაგნოსტიკო და მკურნალობის მონიტორინგისთვის საჭირო კვლევები:

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ანტივირუსულ მედიკამენტებს კლინიკას აწოდებს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“. C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამისა და სააგენტოს ბრძანების თანახმად, კლინიკამ C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა უნდა უზრუნველყოს სააგენტოს მიერ დამტკიცებული ფორმით, დალუქულ,

დანომრილ, ზონარგაყრილ და სააგენტოს ბეჭდით დამოწმებულ სპეციალურ ჟურნალში. C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტები კლინიკის ფინანსურ ანგარიშგებაში „აქტივების“ მუხლზე არ აისახება. ამ პრეპარატების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი არ იყო დამოწმებული სააგენტოს ბეჭდით. ჟურნალი, რომლის ფორმაც შემუშავებულია სააგენტოს მიერ, მოიცავს მხოლოდ მედიკამენტების პაციენტებზე გაცემის მაჩვენებლებს. პრეპარატის კლინიკაში მიღების მაჩვენებლები ჟურნალში არ ფიქსირდება“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, იმის გამო, რომ C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ბეჭდით არ იყო დამოწმებული, შესაძლოა, ამას ჟურნალებში დაფიქსირებული ინფორმაციის არასანქცირებული შეცვლა მოჰყოლოდა.

C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ანტივირუსული მედიკამენტები ერთი ბოთლის (28 აბი) ოდენობით გაიცეს, რომელიც ადგილზე უნდა გაიხსნას და პირველი აბი პაციენტმა სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით, კამერის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიიღოს. პროგრამის თანახმად, მკურნალობის პროცესში, ყოველი მეორე კვირის ბოლოს, სავალდებულოა მედიკამენტის ბოთლის წარდგენა და კამერის წინ ბოთლის, ბარკოდისა და ბოთლში მედიკამენტის დარჩენილი რაოდენობის დაფიქსირება. მკურნალობის რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, მედიკამენტის გაცემის აღნიშნული წესი იცვლება და მომდევნო ბოთლის მიღებამდე, მედიკამენტები უნდა გაიცეს ყოველდღიურად, სამედიცინო პერსონალისა და ვიდეოკამერის მეთვალყურეობით (DOT პრინციპი).

ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა სახელმწიფო პროგრამის ამ ნაწილში:

„შერჩეულ 37 პაციენტზე წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ 36 შემთხვევაში, 14-მა პაციენტმა მკურნალობის რეჟიმი დაარღვია. მათ მიმართ უნდა ამოქმედებულიყო მედიკამენტების DOT პრინციპით გაცემის წესი, რაც კლინიკის C ჰეპატიტის ელიმინაციის ცენტრს არ განუხორციელებია. ამ პრინციპის დარღვევით, სულ 1008 აბი მედიკამენტი „ჰარვონი“ გაიცა. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, მედიკამენტების გაცემის DOT პრინციპი სხვადასხვა დარღვევისათვის გამოყენებულ იქნა სამი პაციენტის მიმართ და ისიც პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნათა დაუცველად. კერძოდ, ყოველდღიურად თითო აბის ნაცვლად, რამდენიმე დღის კუთვნილ აბს ერთდროულად გასცემდნენ. პროგრამის მიხედვით, აუცილებელია, რომ DOT პრინციპით მედიკამენტების გაცემა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო ბოთლის წაღებისას, პაციენტი ცარიელ ბოთლს არ წარადგენს. კლინიკაში ცარიელი ბოთლების ჩაბარება დოკუმენტურად არ დასტურდებოდა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 36 შემთხვევაში, 14-მა პაციენტმა კლინიკიდან მედიკამენტების მიღების პროგრამით დადგენილი წესები დაარღვია, რის გამოც ამ პაციენტებისთვის მედიკამენტები განსხვავებული მეთოდით უნდა გაეცათ, რაც კლინიკას არ განუხორციელებია. აუდიტორების მტკიცებით, მსგავს შემთხვევებში, პაციენტის მხრიდან მედიკამენტების არამიზნობრივად გახარჯვის რისკი იზრდება:

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის თანახმად, პაციენტის გარდაცვალების ან მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში, მედიკამენტები ექვემდებარება მიმწოდებელ დაწესებულებაში დაბრუნებას. ჩვენთვის წარდგენილი ინფორმაციით, მკურნალობის პერიოდში, სამი პაციენტი გარდაიცვალა. გარდაცვლილი პაციენტების გაუხარჯავი აბების დასაბრუნებლად კლინიკას ქმედებები არ განუხორციელებია. ამასთან, მკურნალობა შეწყვიტა ხუთმა პაციენტმა, რომელთაგანაც ორმა გაუხარჯავი აბები არ დააბრუნა, ხოლო მიღებული განმარტების მიხედვით, დანარჩენმა სამმა პაციენტმა კლინიკას 49 აბი „ჰარვონი“ დაუბრუნა. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური დოკუმენტებით, მკურნალობის შეწყვეტის თარიღი ვერ დასტურდება, მეტიც, აბების დაბრუნების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებიც არ გაფორმებულა. დაბრუნებული მედიკამენტების არსებობაზე შედგენილია მხოლოდ პროგრამის მენეჯერის, მკურნალი ექიმისა და მედიკამენტების გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი აქტები“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ პაციენტის გარდაცვალების ან მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში მედიკამენტების მიმწოდებელ დაწესებულებაში დაბრუნების მოთხოვნის შეუსრულებლობა ან, თუნდაც, არასათანადოდ შესრულება, რაც ხუთ შემთხვევაში დაფიქსირდა, C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების არამიზნობრივად გამოყენების რისკს ქმნის.

ხარვეზები დებიტორულ დავალიანებებში

სახელმწიფო აუდიტორებმა ყოფილ რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბუღალტერიაში დაშვებული უხეში შეცდომებიც გამოავლინეს. ზოგადად, ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია, რომ ორგანიზაციამ საკუთარი აქტივები, ინფორმაცია და სხვა რესურსები დაკარგვისგან დაიცვას. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის შემთხვევაში, ამგვარი დაცვა გულისხმობს სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირის მიმართ კლინიკის მოთხოვნების ინვენტარიზაციას, სრულყოფილი, დროული და განახლებადი ინფორმაციის ფლობას და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირი. ფიზიკური პირის იდენტიფიცირება შესაძლებელია სახელით, გვარითა და პირადი ნომრით, ხოლო იურიდიული პირის – სახელწოდებითა და საიდენტიფიკაციო ნომრით. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმო, ორგანიზაცია სამეურნეო წლის ბოლოს უნდა ატარებდეს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში:

„2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლინიკის მოთხოვნები სხვა სუბიექტების მიმართ, 24 020 027 ლარი იყო. აუდიტის ჯგუფმა დებიტორული დავალიანებების სრული რეესტრი მოითხოვა, თუმცა წარდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ 2015-2017 წლებში, დებიტორული დავალიანების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და არც სათანადო რეესტრი მუშავდება. შესაბამისად, დეტალურად ჩაშლილი ინფორმაცია კონკრეტული დებიტორების ჭრილში, კლინიკას არ წარუდგენია“.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა ისიც, რომ კლინიკამ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში მიმართა სასამართლოს დებიტორების წინააღმდეგ დავალიანების დაფარვის მოთხოვნით. დარჩენილი მოთხოვნების უმეტესობასთან დაკავშირებით, ორგანიზაციიდან მიღებული განმარტების მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის კანონმდებლობით დადგენილი სამწლიანი ვადები უკვე გასული იყო. არასრული ინფორმაციის გამო, აუდიტის პროცედურებითაც კი ვერ დადგინდა, 24 020 027 ლარიდან, რა თანხას შეადგენდა ვადაგასული დებიტორული დავალიანებები:

„აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წლის 3 აპრილს, ს/ს „სადაზღვეო კომპანია ალდაგსა“ და შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას“ შორის გაფორმებული შედარების აქტის შესაბამისად, კლინიკის მიერ სადაზღვევო კომპანიიდან მისაღები თანხები დაკორექტირდა და შემცირდა ჯამურად – 972 465 ლარის ოდენობით. კლინიკის ხელმძღვანელობამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა აღიარებისა და კორექტირების ინდივიდუალური აქტები, რაც დებიტორული დავალიანების ჩამოწერის საფუძველი უნდა ყოფილიყო“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ კლინიკას აუდიტის პერიოდში არ ჩაუტარებია მოთხოვნების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა დებიტორული დავალიანებების არსებობაში, სისრულესა და სიზუსტეში:

„კლინიკას არ აქვს 24 020 027 ლარის ღირებულების დებიტორების სრულყოფილი რეესტრი და მისაღებ თანხებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც შეუძლებელს ხდის დებიტორების ეფექტიან მართვას. ეს მიუთითებს ორგანიზაციაში არსებული ფინანსური მართვის მნიშვნელოვან ნაკლოვანებაზე და დიდი ოდენობით თანხების დაკარგვის რისკებსაც ზრდის“.

რატომ არ ვრცელდება ე.წ. ჯიხურების შეღავათები რეგიონებში

მე-4 გვერდიდან

დავუბრუნდეთ ცვლილებების პროექტს, რომელიც თუ ოპოზიციას დავუჯერებთ, სახელისუფლებო კლანებს შორის დაპირისპირების მიზეზად და ერთგვარ, განხეთქილების ვაშლად იქცა. კანონპროქტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: **„ეპიდემიის ან/და პანდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავრობა უფლებამოსილი იქნება ეპიდემიის ან/და პანდემიის დროს, ან მისი გაუქმების შემდეგ, არა უგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა, მიმართოს თბილისის საკრებულოს, რათა აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის, ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ“.**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, დედაქალაქის მთავრობას ამგვარი უფლება აქვს. კერძოდ, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, აუქციონის ფორმით პრივატიზებულ, სარგებლობის ან მართვის უფლებით გადაცემულ თბილისის ქონებასთან დაკავშირებული პირობების (გარდა ფინანსური და საინვესტიციო პირობებისა) შეცვლის ან გაუქმების შესახებ წინადადებით, თბილისის საკრებულოს მიმართავს გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, ამავე დებულებიდან გამომდინარე, ფინანსური და საინვესტიციო პირობის შეცვლის უფლება კოდექსით არ არსებობს.

„აუქციონის ფორმით პრივატიზებულ, სარგებლობის უფლებით გადაცემულ ან მართვის უფლებით გადაცემულ თბილისის ქონებასთან დაკავშირებული ფინანსური და საინვესტიციო პირობის შეცვლის შესაძლებლობას, კოდექსი იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თბილისის ქონების პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა ან მართვის უფლებით გადაცემა 2013 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელდა. ამ თარიღის შემდგომ განკარგულ ქონებასთან დაკავშირებით, აღნიშნული შეღავათის გამოყენება კოდექსით დაუშვებელია. სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით, არა თუ საქართველო, არამედ, მთელი მსოფლიო ებრძვის ახალ კორონავირუსს – COVID-19-ს, რის გამოც შეფერხებულია მთელი რიგი ეკონომიკური აქტივობები. ცხადია, ეს მძიმე ტვირთად აწვება ბიზნესსექტორს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იქნება, თუ გარკვეული ნაბიჯების გადადგმით, ბიზნესისთვის გარკვეული შეღავათები დადგინდება. ამ მიზნით, მიზანშეწონილია, რომ პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს, თბილისის მთავრობას მიეცეს შესაძლებლობა, თბილისის საკრებულოს წარუდგინოს წინადადება აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის, ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ“, – აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, თბილისის ქონებით მოსარგებლე პირების მიმართ გატარდება საშეღავათო რეჟიმი, რაც დადებით გავლენას იქონიებს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე. დეპუტატები ამ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას იმიტომ ითხოვენ, რომ ამგვარი უფლებამოსილება თბილისის მუნიციპალიტეტს მხოლოდ 2020 წლის 31 დეკემბრამდე გააჩნია:

„იმის გათვალისწინებით, რომ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კვლავ მძიმეა და ეკონომიკა კვლავ საჭიროებს გარკვეულ ხელშეწყობას, შესაბამისად, ამ ვალდებულებების შესრულებაზე ანუ გარკვეული შეღავათების თაობაზე გადაწყვეტილებების დროულად მიღების მიზნით, მიზანშეწონილია, კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა“.

* * *

ახლა კი დაპირებული ინტერვიუ კანონპროექტის ავტორსა და ინიციატორ **ბექა დავითულიანთან**, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ პარლამენტს ორი კანონპროექტი წარუდგინა.

– ორი კანონპროექტის მიღების ინიციატივით გამოვედი. პირველი ეხება იჯარის თანხების გადახდას. მერიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მიმართოს საკრებულოს და მეწარმეებს საიჯარო გადასახადის ვადა გაუგრძელოს. ეს უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე მოქმედებდა, მაგრამ ვადა გაუვიდა და ახლა, ამ ინიციატივით, კიდევ ერთხელ გადავავადეთ. თუ ჩათვლის მერია, რომ მოიჯარეს ან კომპანიას, რომელსაც აქვს საინვესტიციო ვალდებულებები და ამ პერიოდის განმავლობაში, ანუ პანდემიის გამო ვერ შეძლო განეხორციელებინა თავისი ვალდებულება ან გადაეხადა ქირა, რადგან დახურული იყო, მერიას უნდა შეეძლოს, მიმართოს თბილისის საკრებულოს, სწორედ ამ საიჯარო ან საინვესტიციო პირობების გადავადებასთან ან შეცვლასთან დაკავშირებით. მაგალითად, იჯარის ან ქირის გასაუქმებლად იმ პერიოდში, როდესაც არ მუშაობდა ეს ბიზნესი ან საინვესტიციო ვალდებულებების გადასავადებლად, თუ ვერ განახორციელა სწორედ იმიტომ, რომ არ მუშაობდა ამ პერიოდში.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს, ის ჯიხურების დაჯარიმებას ეხება. თბილისში ბევრგან იდგა ჯიხურები, რომლებსაც ვადა გაუვიდა და იმ პერიოდში დაჯარიმდნენ ეს ადამიანები შესაბამისი ორგანოს მხრიდან. ჩვენი ინიციატივა ამ ჯარიმების პატიებას ეხება. ეს იმიტომ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე, ერთი მხრივ, ვერ მუშაობდნენ ეს ბიზნესები, შეიძლება, ყოყმანობდნენ, გაეგრძელებინათ თუ არა საერთოდ ეს საქმიანობა, მაგრამ არ მოუმართავთ და ჩავთვალეთ, რომ ჯარიმა უსამართლო იქნებოდა ამ პანდემიის პირობებში, ხოლო მეორე მხრივ, თუ განაახლებენ საქმიანობას, ჯარიმა ტვირთად არ უნდა დააწვეთ.

– ბატონო ბექა, ეს ინიციატივა ეხება მხოლოდ იმ ჯიხურებს, რომლებიც თბილისშია განთავსებული?

– არა, რადგან ჯარიმები მოვუხსენით მეწარმეებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

– კანონპროექტს, რომელიც საინვესტიციო და საიჯარო ნაწილს ეხება, თქვენივე კოლეგების უკმაყოფილება მოჰყვა იმიტომ, რომ თბილისის გარდა, პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვები სხვა დიდ ქალაქებშიც მოქმედებს და დედაქალაქი რა ნიშნით გამოარჩიეთ?

– იცით, რაში იყო საქმე? ექვსი თვის წინ, მსგავსი ცვლილება იყო ინიცირებული, ამიტომ მისი გადავადება უფრო სწრაფად, მარტივადაა შესაძლებელი და კანონპროექტსაც ნაკლები პროცედურების გავლა უწევს. ახალი კანონი რომ შეგვექმნა, შესაძლოა, ეს პროცესი დროში გაწელილიყო, ტექნიკურადაც მოუხერხებელი იქნებოდა და ბიზნესიც გაიჭედებოდა.

აქედან გამომდინარე, თბილისში კანონი გადავავადეთ ანუ იგივე კანონი განვაახლეთ, რაც შეეხება რეგიონებს, მოვრიგდით, რომ დავიწყოთ მუშაობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და შესაბამის მუნიციპალიტეტებთან ერთად.

– რატომ?

– ჯერ უნდა შევისწავლოთ, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა კონკრეტულ რეგიონში, გავითვალისწინოთ მათი სპეციფიკა, რათა დედაქალაქის მსგავსი კანონი შევქმნათ, მაგრამ რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით. მოკლე ვადაში ამ ყველაფერს ვერ მოვასწრებდით იმიტომ, რომ თბილისი უკვე შესწავლილია. აქ ერთხელ უკვე მოქმედებდა მსგავსი კანონი და ჩათვალეთ, რომ ამ კანონის ვადა გადავწიეთ ანუ გავახანგრძლივეთ.

რეგიონების კონტექსტის გათვალისწინებით, თბილისსაც გავჭედავდით, ამიტომ დრო მოვიგეთ – კანონპროექტი თბილისისთვის ცალკე გავიტანეთ. რეგიონებთან დაკავშირებით, ჩვენი კომიტეტის დანარჩენ წევრებს გარკვეული ინიციატივები აქვთ, დავამუშავებთ და იგივე კანონს რეგიონებშიც ავამოქმედებთ.

– გასაგებია, მაგრამ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, ხელისუფლების ოპონენტები ამბობენ, რომ ეს ცვლილება, რეალურად, კახი კალაძის ინიციატივაა თბილისელი მეწარმეების გულის მოსაგებად, ხოლო თქვენ იმიტომ ხართ მისი ავტორი, რომ კალაძის კლანის წევრად მოგიაზრებენ.

– საქმე არის ძალიან მარტივად: არსებობს კანონი თბილისის შესახებ. თბილისს, როგორც დედაქალაქს, თავისი განსხვავებული სპეციფიკა აქვს. ეკონომიკის ძირითადი ბირთვი მოძრაობს თბილისში და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყველაზე უფრო დიდი ქალაქია. შესაბამისად, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს ინკლუზიურ მიდგომას ისევე, როგორც ესა თუ ის რეგიონი. მე თბილისის სპეციფიკა კარგად ვიცი, რადგან დედაქალაქის საკრებულოში ვმუშაობდი.

ძალიან მინდოდა, რომ იგივე ცვლილება რეგიონებშიც გავრცელებულიყო, მაგრამ შეცდომა რომ დამეშვა, ეს ხომ უარესი იქნებოდა? ამიტომ, სხვა მაჟორიტარები რეგიონებიდან და დეპუტატების დიდი სპექტრი ჩაერთვებიან ამ პროცესში, დავხვეწთ ამ კანონს ისე, რომ შესაძლებელი გახდება, მთელ საქართველოზე გავრცელდეს და რა პრობლემაა? რატომ არ უნდა მინდოდეს, რეგიონებში მოქმედ ბიზნესმენებსაც დავეხმარო, წარმოუდგენელია ჩემთვის!

– თქვენი ოპონენტების აზრით, მმართველ პარტიაში რამდენიმე კლანია, საპარლამენტო ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ კი ორს – ირაკლი კობახიძისა და კახა კალაძის კლანებს ასახელებენ, რომლებიც პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას უპირისპირდებიან, ასეა?

– მარტივად გიპასუხებთ: გიორგისთანაც ვმეგობრობ, ირაკლისთანაც და კახისთანაც (იცინის). მითხარით, როგორ ავხსნა, რომელ კლანში ვარ? არცერთ მათგანთან არ მაქვს პრობლემა.

სამართალი

№1 3 თებერვალი 2021 წ

სერიული მკვლელობები თბილისსა და წყალტუბოში

ბათო ჯაფარიძე

რა შეიძლება აკავშირებდეს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მომხდარ დანაშაულებს, გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, როგორც ხელწერით, ისე მსხვერპლთა მდგომარეობით? – ერთი შეხედვით, არაფერი, მაგრამ ცხოვრება ისეთი სიურპრიზებითაა სავსე, ვერც კი წარმოიდგენთ.



თბილისში, შებინდებისას, სახლის წინ, სკვერში სეირნობის დროს, ვიღაც გამვლელმა, ქმართან ერთად მყოფ ქალს დანა გაუყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ქმარმა ჯერ გადევნება გადაწყვიტა, შემდეგ გადაიფიქრა, ხალხს შველა სთხოვა, მაგრამ გულის მხარეს დარტყმული დანა სასიკვდილო აღმოჩნდა. მომხდარიდან ერთ დღეში, წყალტუბოში, იგივე სცენა განმეორდა – ქმრის გვერდით მყოფ ქალს ვიღაცამ დანა დაარტყა და გაუჩინარდა. ამ შემთხვევაშიც, გარდაცვლილის ქმარიც ზუსტად ისე მოიქცა, როგორც თბილისური შემთხვევისას – ჯერ დამნაშავეს დაედევნა, შემდეგ ცოლს მიუბრუნდა, ხალხს დახმარება სთხოვა, მაგრამ ამაოდ. გარდა იმისა, რომ ქალები ერთნაირი ხელწერით დახოცეს, მათ ერთი საერთოც ჰქონდათ – ერთიცა და მეორეც, სულ რაღაც, სამი თვის დაქორწინებული იყო და ორივესთვის ეს მეორე ქორწინება გახლდათ.

„მე და წყალტუბოს საქმის გამომძიებელი, ერთმანეთს რამდენჯერმე შევხვდით. პირველ რიგში, როგორც მე, ისე მან, ეჭვი ქალის ყოფილ ქმარზე მივიტანეთ, თუმცა როგორც ჩემს შემთხვევაში, იქაც უტყუარი ალიბი ჰქონდა. თბილისში მოკლული ქალის ქმარყოფილი, მკვლელობის დროს, მეზობლებთან ერთად ფეხბურთს უყურებდა და ლუდს სვამდა, წყალტუბოში მოკლული ქმარი კი, საერთოდ, რაიკომის მეორე მდივანთან ერთად, სანადიროდ იყო წასული სვანეთში და მას გვერდიდან არ მოსცილებია. შესაბამისად, ქმარყოფილების მონაწილეობა გამოირიცხა“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ქმრებმა სანუგეშო ვერაფერი თქვეს. არცერთ მათგანს მტერი არ ჰყავდა, ან რა მტერი უნდა ჰყოლოდა რიგით ინჟინერსა და ასევე, რიგით მემონტაჟეს? ორივემ დაადასტურა, რომ დაძაბულობა არც ყოფილ ქმრებთან ჰქონიათ, ყველაფერი ცივილურ ფორმებში ჩატარდა, გაყრა სასამართლოს ძალით მოხდა, დარეგისტრირდა და შემდეგ ხელი მოაწერეს. ქორწილი არცერთს გადაუხდია, მოერიდათ მათ ასაკში „დიმპიტაურის“ გამართვა.

ჰო, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – არცერთ ქალს შვილი არ ჰყავდა და ორივე შემთხვევაში, „დამნაშავე“ სწორედ ქალბატონები იყვნენ, მაგრამ ყოფილ ქმრებს ისინი იმდენად უყვარდათ, რომ მათ უშვილობასაც იტანდნენ.

„წყალტუბოში მოკლული ქალი ერთ-ერთი სანატორიუმის ბუღალტერი იყო. იქ იფიქრეს, რომ საქმე ფულის განაწილებასთან ჰქონდათ და ამიტომ, ის სანატორიუმი წინდასავით ამოაბრუნეს, დაფერთხეს, ყველაფერი შეამოწმეს, მაგრამ ისეთი ვერაფერი ნახეს, რის გამოც ადამიანის სასიკვდილოდ გამეტება შეიძლებოდა. თბილისში მოკლული ქალი კი რიგითი მკერავი იყო და ფულთან შეხება საერთოდ არ ჰქონია ანუ რაიმე სარგებლის მიღების მიზნით, მკვლელობა გამორიცხული იყო. ეს უფრო შურისძიებას ჰგავდა, მაგრამ ვის უნდა ეძია შური? – ყოფილ ქმრებს, რომლებსაც შესაძლებელია წყენა ჰქონდათ, ისეთი ალიბი ჰქონდათ, წყალი არ გაუვიდოდა. მინიშნებითაც კი, ვერავინ იხსენებდა ისეთ ამბავს, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, რომ გამოძიება წინ წასულიყო. ჩვეულებრივი, რიგითი ქალები ახალი ქმრების წინ, უბრალოდ, დაკლეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მოულოდნელად, თბილისური გამოძიების ნაწილში, რაღაც კონტურები გამოიკვეთა. გაირკვა, რომ მკვლელობამდე ერთი თვით ადრე, თბილისში მოკლული ქალის ყოფილი ქმარი დასასვენებლად წყალტუბოში იმყოფებოდა. იქაურ სანატორიუმში ერთი კვირა დაჰყო, თუმცა შესაძლებლობა იმისა, რომ იქ, წყალტუბოში მოკლული ქალი გაიცნო, მინიმალური გახლდათ, რადგან როგორც პერსონალმა თქვა, სანატორიუმიდან, პრაქტიკულად, არ გადიოდა, მუდმივად სვამდა და...

გარდაცვლილი ქალი სხვა სანატორიუმში მუშაობდა ბუღალტრად. ეს ჩვეულებრივი დამთხვევა იყო, თუმცა...

„ახლა რომ შეგიძლია, ფილმი რეჟისორზე ადრე ნახო ინტერნეტით, მაშინ ასე არ იყო. ან უნდა გეყურებინა საბჭოთა კინოსთვის, ან უნდა გაგერისკა და ვიღაცასთან, ჩუმად მოპოვებული ვიდეოკასეტით გენახა კაპიტალისტური ფილმი. ჩემი თანამშრომელი იყო ასეთი ამბების მოყვარული და შემდეგ, ფილმებს გვიყვებოდა ხოლმე. ჰოდა, ერთხელაც, გაფართოებული თვალებით მოგვიყვა ჰიჩკოკის შედევრს, სადაც შემთხვევითი ნაცნობები აღმოაჩენენ, რომ ერთს მამა უშლის ნერვებს, მეორეს – ცოლი და გადაწყვეტენ, ერთმანეთის პრობლემა მკვლელობით მოაგვარონ. შედეგად, ორი მკვლელობა მოხდება, მაგრამ მთავარ ეჭვმიტანილებს იმ დროისთვის რკინის ალიბი აქვთ. აი, მანდ გაანათა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც შემდგომში გაირკვა, თბილისური მკვლელობის დროისთვის, წყალტუბოელი ქალის ყოფილ ქმარს ალიბი არ ჰქონდა და პირიქით – თბილისელმა, წყალტუბოში მომხდარი მკვლელობის დროისთვის ვერ გაიხსენა, სად იმყოფებოდა. ბინების ჩხრეკის შემდეგ, დანა თბილისელი კაცის სახლში იპოვეს, წყალტუბოელს ჭკუა უხმარია და გადაუგდია, შედეგად, აღიარებას წინ ვერაფერი დაუდგა. კაცებმა ერთმანეთი, წყალტუბოში, შემთხვევით გაიცნეს, დალიეს, გული გადაუშალეს და მიხვდნენ, რომ ერთსა და იმავე დღეში იყვნენ. მკვლელობის იდეა წყალტუბოელს მოსვლია თავში აზრად, ეს გეგმაც მან შეიმუშავა და განახორციელეს კიდეც. იმის მიუხედავად, რომ სასამართლოში ბრალდების მხარე სასჯელის უმაღლეს ზომას ითხოვდა, მოსამართლემ ორივეს 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ჰო, იმავე გამოძიებით დადგინდა, რომ ჰიჩკოკის ფილმი ნანახი არცერთ დამნაშავეს არ ჰქონდა.

რუსეთში ქართველ „კანონიერ ქურდებზე“ ნადირობა დაიწყეს

დააღწევს ციხეს თავს „ტახი“ და რას ედავებიან რუსი სამართალდამცავები გიორგი ყიფიანს

რუსეთში ცნობილი ქართველი „კანონიერი ქურდის“, გიორგი უგლავას (მეტსახელად ტახი) სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. რუსი სამართალდამცავები მას კრიმინალური დაჯგუფების ჩამოყალიბებას და არაერთი დანაშაულის ჩადენას ედავებიან. უფრო ზუსტად, რუსული მართლმსაჯულება ამტკიცებს, რომ „ტახი“ ამ დაჯგუფებას მართავდა და თავად არც ქურდობაში იღებდა მონაწილეობას, არც – ძარცვასა და ყაჩაღობაში.

საერთო ჯამში, რუსები ამტკიცებენ, რომ უგლავას მიერ შექმნილმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ 163 (!) დანაშაული ჩაიდინა, დაზარალებულთა რიცხვი 280 ადამიანს აჭარბებს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არცერთი დაზარალებული და არცერთი დაკავებული ხელს „ტახისკენ“ არ იშვერს და არ ამბობს, რომ მას მომხდარ დანაშაულებთან საერთო აქვს.

როგორც რუსული მედია ამტკიცებს, ყველაზე „ცუდ“ შემთხვევაში, „კანონიერი ქურდის“ სტატუსის გამო, უგლავას რამდენიმე წლით აღუკვეთენ თავისუფლებას.

პარალელურად, მოსკოვში, კიდევ ერთი „კანონიერი ქურდი“, დავით ფანჩვიძე (იგივე, გიორგი ყიფიანი) დააკავეს. მას ნარკოტიკების შენახვა ედება ბრალად, თუმცა დიდია შანსი, რომ ფანჩვიძეც სწორედ სტატუსის გამო გაასამართლონ. ბოლოს ის ციხიდან სამი წლის წინ გათავისუფლდა, თუმცა „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ მიღებული კანონის მიუხედავად, რუსეთი არ დაუტოვებია და მოსკოვის პრესტიჟულ უბანში მშვიდად ცხოვრობდა.

ბათო ჯაფარიძე

ახალგაზრდა მსახიობის მკვლელობის სკანდალური დეტალები

ვინ მიიტანა თეატრში მოწამლული კონიაკი და მიდის თუ არა კვალი ეჭვიანობამდე

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, დღეს, ინტერნეტის სამყაროში, მარტივად შეიძლება ნებისმიერი რამ მოიძიო, შექმნა ხელნაკეთი იარაღი, გააკეთო საწამლავი, მიიღო შხამი და ა.შ. ადრე კი ყველაფერი ეს თითქმის შეუძლებელი გახლდათ. იარაღზე რომ არაფერი ვთქვათ, უმკაცრესად კონტროლდებოდა ის ნივთიერებები, რომლებისგანაც შხამის მიღებაა შესაძლებელი და საკმარისი გახლდათ, სადმე შხამი გამოჩენილიყო, მაშინვე ყველა იმ დაწესებულებას ამოწმებდნენ, სადაც შხამი ინახებოდა და დანაკლისის შემთხვევაში, არამარტო ხელმძღვანელობა, არამედ, რიგითი თანამშრომლებიც უმკაცრესად ისჯებოდნენ.

„დასავლეთ საქართველოში ორკვირიანი მივლინებით გამიშვეს. სულ სხვა საქმეზე ვიყავი წასული – ერთ-ერთი „კანონიერი ქურდი“ უნდა მენახა და რაღაცები გამერკვია. საქმეს ორ დღეში მოვრჩი, მაგრამ ისე მოხდა, უკან ვეღარ წამოვედი. ადგილობრივი თეატრი „ოტელოს“ დგამდა, რაც ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მეჩვენა – აფიშაც კი იყო გამოკრული, მაგრამ არ გამცინებია, როცა მითხრეს, დეზდემონას როლის შემსრულებელი, 24 წლის გოგო, სპექტაკლის დასრულებისთანავე მოკვდაო. რაც მთავარია, მას მოწამვლის ნიშნები ეტყობოდა და შემდგომში ექსპერტმაც დაადასტურა, რომ სისხლში იშვიათი ჯგუფის საწამლავი იყო მოხვედრილი. თბილისიდან დამირეკეს, დარჩი და გამოძიება შენ წარმართეო, რასაც, რა თქმა უნდა, დავემორჩილე“, – იხსენებს ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გოგოს გარდაცვალება ყველასთვის ნამდვილი შოკი იყო. მას მტრები არ ჰყავდა, ყველას უყვარდა და ზოგადად, ისეთ ქმედებაში, რომელიც მაშინ მიღებული არ იყო, არასოდეს ყოფილა შემჩნეული. განსაკუთრებით საკუთარ გრიმიორსა და ბავშვობის მეგობართან, სცენის გამნათებელთან ურთიერთობდა. ბიჭი გოგოსთან ბაღიდან მეგობრობდა, თუმცა მეგობრობის იქით ურთიერთობა არ წასულა და არავის უთქვამს, შეყვარებულები იყვნენო. ექსპერტის მტკიცებით, ორგანიზმში შხამი საკვებთან ერთად მოხვდა და ეს საკვები შოკოლადი იყო. ტკბილეული მსახიობს სწორედ ბავშვობის მეგობარმა, სცენის გამნათებელმა აჩუქა და შესაბამისად, პირველი ეჭვმიტანილიც ის გახდა. ეს კი არადა, სამსახურში გრიმიორი რომ არ გამოცხადდა, მილიციამ მისი სახლის კარი შეამტვრია და ისიც უგონო მდგომარეობაში იპოვა. შოკოლადი მასაც ეჭამა, თუმცა ბევრი არა და გადარჩა.

„თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ბავშვობის

მეგობარმა მოკლა, მაგრამ ყველა ერთ ხმაში ამტკიცებდა, მაგას სხვა მსახიობთან აქვს ურთიერთობა, გარდაცვლილთან მხოლოდ მეგობრობდაო. კითხვაზე, საიდან მოიტანა შოკოლადი, გამნათებელმა თქვა, რომ რამდენიმე დღის წინ იყიდა და ოთახში ედო, შემდეგ კი მეგობარს აჩუქა. რა თქმა უნდა, დაკავებული წინასწარი დაკავების იზოლატორში გადავიყვანეთ და დაკითხვის სტრატეგიას ვადგენდით, როცა საავადმყოფოდან დარეკეს – სასწრაფომ მოწამვლის ნიშნებით ორი სტუდენტი ბიჭი მოიყვანა და ორივეს ზუსტად იგივე სიმპტომები ჰქონდა, რაც გარდაცვლილ მსახიობსა და მის გრიმიორსო. ბიჭების დაკითხვა შესაძლებელი გახდა და მათ გაიხსენეს, რომ სამი დღის წინ, ქუჩაში, შემთხვევით ერთ კაცს დაეჯახნენ, რომელსაც ჩანთიდან 1 ბოთლი „ვარციხე“ გადმოუვარდა. კაცი გაბრაზდა, ყვირილი დაიწყო, სტუდენტებმა კი ბოთლს ხელი დაავლეს და გაიქცნენ. კონიაკი მხოლოდ ახლა დალიეს და საავადმყოფოში აღმოჩდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბოთლში ზუსტად იგივე შხამი იყო, რაც შოკოლადში და შხამის ძიებამ სამართალდამცავები შესაბამის უწყებაში მიიყვანა ანუ იქ, სადაც შხამებზე მუშაობდნენ. ყველაფერი მკაცრი აღრიცხვით კეთდებოდა, მაგრამ უწყების დირექტორმა თქვა, ეგ შხამი კოქტეილია, გარკვეული ნივთიერებების ნაერთი და თუ ქიმიკოსი ჭკვიანია და ამ ნაერთების დოზას სწორად შეურევს, შხამს ლაბორატორიის გარეშეც მიიღებსო.

გამოძიებით დადასტურდა, რომ სტუდენტებს თეატრის თანამშრომლებთან შეხება არ ჰქონდათ ანუ ისინი შემთხვევით მოიწამლნენ და მკვლელს კონიაკი მსახიობის მოსაკლავად მიჰქონდა. სტუდენტებს ვერ აჩვენეს თეატრის პერსონალის სურათები, რადგან შხამმა იმდენად ძლიერად იმოქმედა, რომ მათ მხედველობა წაერთვათ (რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ-ერთს ნაწილობრივ აღუდგა, ხოლო მეორე სამუდამოდ დაბრმავდა). აღწერამაც არაფერი მისცა, მათი მონათხრობი, პრაქტიკულად, არავის მიესადაგებოდა.

„გამოძიება ჩიხში შევიდა. მყავდა ეჭვმიტანილი, მაგრამ არ მქონდა მტკიცებულებები, თან დაკავებულს იმის ცოდნა არ ჰქონდა, რომ საწამლავი თავად დაემზადებინა. გადავწყვიტე, ისევ გარდაცვლილის გრიმიორი დამეკითხა და რადგან სუსტად იყო, სახლში ვეწვიე. კვანძიც მანდ გაიხსნა“, – ღიმილით გვიყვება ბატონი თენგიზი.

გრიმიორთან მისულმა გამომძიებელმა კარადის ღია ვიტრინაში, „ვარციხის“ გაუხსნელი ბოთლი დაინახა. მაშინვე სტუდენტების მონაყოლი გაახსენდა და ბოთლის წარმომავლობით დაინტერესდა. გრიმიორმა უთხრა, მსახიობის მეგობარმა მაჩუქა, დაკავებული რომ გყავთ, იმანო. ბოთლი ექსპერტიზაზე წაიღეს, შხამი იქაც აღმოაჩინეს და ეს სავსებით საკმარისი გახლდათ საქმის სასამართლოში გადასაცემად, თუმცა...

„თეატრს ორი გამნათებელი ჰყავს, მე და ჩემი კოლეგა. ოთახი კი ერთი გვაქვს და ეგ კონიაკიც ოთახში დამხვდა, ალბათ, იმან მოიტანა. გოგოებმა რომ შემოიხედეს, გაუხარდათ, „ვარციხეო“, დალევაც გვინდოდა, მაგრამ რეპეტიცია დაიწყო და ვერ მოვასწარით. ბოთლი გრიმიორმა წაიღო, მერე დავლიოთო, მაგრამ აგერ, მე დაკავებული ვარ, ჩემი ბავშვობა მკვდარია, გრიმიორი კი მოწამლული“, – ეს იყო, რაც დაკავებულმა თქვა და... გამოძიებამ პირველად მიაქცია ყურადღება მეორე გამნათებელს.

მისი ისტორიის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა, საკმაოდ ნიჭიერი იყო, თუმცა უცნაური ხასიათის გამო, ინსტიტუტიდან, უბრალოდ, გარიცხეს და გამნათებლად დაიწყო მუშაობა. მისი ბინის ჩხრეკისას კი სამართალდამცავებმა შხამის არაერთი ფლაკონი იპოვეს.

„მსახიობი მეცოდება, ის არ უნდა მომკვდარიყო, არც გრიმიორი უნდა მოწამლულიყო. ჩემი მიზანი მეორე გამნათებლის მოკვლა გახლდათ. მან ჩემს შეყვარებულთან გააბა რომანი, რის შემდეგაც ქალმა მიმატოვა. მე ცოლად მოყვანას ვაპირებდი, ამან ხასად დაისვა, უფრო გამოცდილს დაგიბრუნებო, მეუბნებოდა ხოლმე. მე მოვიტანე კონიაკიც, შოკოლადიც, მაგრამ ბედის ირონიით, ყველაფერი შემთხვევითობის წყალობით აიცილა და გადარჩა“, – ასეთი იყო დაკავებულის აღსარება.

სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და მართალია, მისი ნიჭით შესაბამისი უწყებები დაინტერესდნენ, მაგრამ მალე გადაიფიქრეს – დაკავებული, მართლაც, თავისებური ხასიათის და სრულიად უკონტროლო იყო.

ახალგაზრდა ქალი დაქალის მამამ და საქმრომ სადისტურად გააუპატიურეს



სისხლიანი ქორწილი – როგორ შემოაკვდა მეჯვარეს პატარძალი

ბათო ჯაფარიძე

„უძინართა მზე“, ალბათ, ყველას გაქვთ ნანახი და ის სცენაც, როცა საკუთარ ქორწილში სიძეს სცემენ, გახსოვთ. დასჯის ასეთი მეთოდი ადრე უცხო ნამდვილად არ იყო და ქართული მართლმსაჯულების ისტორიას, 60-იანი წლების მიწურულს, ქორწილში მოკლული სიძეც ახსოვს, თუმცა 1979 წელს, საკუთარ ქორწილში გარდაცვლილი პატარძალი ნამდვილი ტრაგედია იყო არა მარტო ოჯახისთვის, არამედ, ქართული მილიციისთვის, რადგან მომხდარის შესახებ მაშინვე მოსკოვს ეცნობა, სადაც საქმის განსაკუთრებულ კონტროლზე აყვანა მოითხოვეს. რაც მთავარია, ამბავი არ უნდა გახმაურებულიყო, არ უნდა განხილულიყო პრესითა თუ ტელევიზიით და საქმეც სწრაფად უნდა გახსნილიყო.

„ქორწილი ვიწრო წრეში, თუმცა რესტორანში გადაიხადეს. სულ 30 კაცი იყო და როცა პატარძალმა საკუთარი ჭიქიდან შამპანური მოსვა, ჯერ უცნაურად, ყივილის მსგავსად ჩაახველა, მერე გული წაუვიდა, ადგილზე მისულმა სასწრაფომ კი სიკვდილი დააფიქსირა. 22 წლის ულამაზესი გოგო იყო და ექიმთა დასკვნა – თაგვის საწამლავი, არ გამკვირვებია. მაშინ ეს პრეპარატი თავისუფლად იყიდებოდა და შემთხვევით თუ წინასწარი განზრახვით ადამიანის მოწამვლა, იშვიათი ნამდვილად არ იყო“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

დაკითხეს ყველა სტუმარი და მომსახურე პერსონალი, მაგრამ უშედეგოდ. ვერავინ ამბობსდა, ვინ და რატომ ჩაყარა საწამლავი პატარძლის ჭიქაში, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ მკვლელი სტუმრებს, ან რესტორნის მომსახურე პერსონალს შორის უნდა ყოფილიყო, რამეთუ სხვა იქ არავინ შესულა. რაც მთავარია, სამართალდამცავებს ყველა სტუმარი ადგილზე დახვდა ანუ გაქცევა არავის უცდია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მკვლელი დარწმუნებული იყო, ვერ მიაგნებდნენ.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ჭიქებზე მხოლოდ ნეფე-დედოფლის ანაბეჭდი იყო ანუ მან, ვინც წამალი ჩაყარა, ჭიქა კარგად გაწმინდა. საჭირო იყო იმის გარკვევა, ვინ გააწყო სუფრა, ვინ შეეხო ჭურჭელს და საერთოდ, რატომ არ იყო ჭიქაზე თუნდაც მიმტანების ანაბეჭდები?

მომსახურე პერსონალი განმეორებით დაკითხეს და მათ ერთხმად დაადასტურეს, რომ ჭურჭელთან პატარძლის მეჯვარემ არ მიაკარა, თავად დააწყო სუფრაზე და სათითაოდ ყველაფერი გაწმინდა. მართლაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ანაბეჭდი არც სხვა ჭიქებზე იყო და ხელი მხოლოდ იმ ადამიანებს ჰქონდათ მოკიდებული, რომლებიც კონკრეტულ ადგილას ისხდნენ. მეჯვარემ ტირილით თქვა, მინდოდა, ეს დღე ნამდვილი ზეიმი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოვიდაო.

„როგორც გავარკვიეთ, გოგოს მამა ფარმაცევტულ საქმიანობას ეწეოდა, მასთან მუშაობდა მისი მომავალი სიძეცა და მეჯვარეც, მხოლოდ გოგონა იყო სამედიცინოს სტუდენტი და მასზე, როგორც მამა, ისე მომავალი ქმარიც დიდ იმედებს ამყარებდნენ. იმის მიუხედავად, რომ ყველაზე ნაკლებად ეჭვი მეჯვარეზე მივიტანეთ, რადგან ის აშკარად გულწრფელად ტიროდა და გულიც ნამდვილად მისდიოდა, გარდაცვლილის მამამ სწორედ მასზე მიგვითითა, კარგად დაამუშავეთ, ჩემს შვილს მხოლოდ ეგ თუ მოწამლავდა, მთელი ცხოვრება მისი შურდაო. არადა, როგორც გავარკვიეთ, გოგონა ყველგან დადებითად ხასიათდებოდა, საოცრად ლამაზი იყო და რაც მთავარია, ჰყავდა საქმრო, რომელიც ერთ-ერთი ტრესტის მმართველის შვილი გახლდათ. შესაბამისად, შესაშური ნამდვილად არაფერი სჭირდა და რაც მთავარია, გარდაცვლილთან მისი სილამაზის შედარება არც კი შეიძლებოდა – მეჯვარე ფრესკიდან გადმოსულ ანგელოზს ჰგავდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ძიება ჩიხში შევიდა, ხელმოსაჭიდი არაფერი იყო და თბილისიდან მოსკოვსაც საიმედოს ვერაფერს ეუბნებოდნენ. გამომძიებელმა ახალგაზრდა ოპერმუშაკს გადაღებული სურათები დაუდო და უთხრა, შენ ქორწილი ერთი თვის წინ გქონდა, ყურადღებით დაათვალიერე და მითხარი, რა არის ისეთი, რაც შენს ქორწილში არ ყოფილა და უცნაურად გეჩვენებაო.

ოპერმა თვალი გადაავლო სურათებს და ვერაფერი იპოვა. საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო, გამომძიებლის რისხვა დაიმსახურა და ახლა უკვე ყურადღებით აკვირდებოდა თითოეულ ფოტოს. ერთადერთი, რაც აღმოაჩინა, ნეფე-დედოფლის ჭიქებზე შებმული საზეიმო ლენტების ფერი იყო. ერთს მუქი ეკეთა, მეორეს – შედარებით ღია. როგორც ოპერმუშაკმა თქვა, მის ქორწილში, ჭიქებს ერთი ფერის ლენტი ეკეთა და ესეც ლოგიკური იყო, სხვადასხვა ფერი რატომ უნდა გაეკეთებინათ?

„მაშინ მივხვდი, რომ ჭიქებზე სხვადასხვა ფერის ლენტები მკვლელს გასარჩევად სჭირდებოდა ანუ ზუსტად რომ სცოდნოდა, რომელი ჭიქა იყო მოწამლული და რომელი უნდა დაედგათ პატარძლისთვის, მაგრამ მერე გამახსენდა სტუმრების მონაყოლი, ნეფე-დედოფალმა „ვახტანგური“ დალია, ოღონდ ტრადიციული, ქართული კი არა, არამედ, სხვაგვარი – მკლავები ერთმანეთს გადააჭდეს და ქალმა თავისი ჭიქიდან მოასმევინა საქმროს, კაცმა – თავისი ჭიქიდანო. გამოდიოდა, რომ რეალურად, კაცის მოწამვლა იყო გადაწყვეტილი და შემთხვევითობამ ქალი იმსხვერპლა. რესტორნის მომსახურე პერსონალმა დაადასტურა, ჭიქებზე ლენტები მეჯვარემ შეაბა და შენიშვნის მიუხედავად, რომ ერთი ფერის ყოფილიყო, მაინც თავისი გაიტანა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა გოგონა კვლავ დაკითხვაზე დაიბარეს და რამდენიმესაათიანი გამოკითხვის შემდეგ, ჩვენებაც მიიღეს.

„პატარძალი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და როცა მამამისთან ადგილი გამოჩნდა, რომელიც მე შემომთავაზეს, არ გამკვირვებია. ქორწილამდე სამი თვით ადრე, სამსახურში, მომავალი სიძე-სიმამრი სვამდნენ, მეც იქვე ვტრიალებდი, სუფრაზე ვემსახურებოდი. აბა, როგორ, ჩემი დაქალის მომავალ ქმარსა და მამას პატივს ვცემდი. შემდეგ, მთვრალებმა ოთახის კარი ჩაკეტეს და ჩემზე ცხოველებივით იძალადეს. გული წამივიდა შიშისგან, აზრზე მოვდიოდი და ისევ გრძნობას ვკარგავდი. შიშით ვერაფერი ვთქვი, ვერც მილიციაში წავედი, სირცხვილისა და თავისმოჭრის შემეშინდა. შემდეგ გადავწყვიტე, სიძე ქორწილში მომეკლა და ამით, სამაგიერო ორივესთვის მიმეზღო. დაქალი კი რეალურად უნდა მეხსნა ამ მონსტრისგან. სამწუხაროდ, ყველაფერი აირია, არ ვიყავი ოთახში, როცა „ვახტანგური“ დალიეს, თორემ არ დავანებებდი“, – ტირილით, ერთ ამოსუნთქვაზე დაასრულა მოყოლა მეჯვარემ.

სამედიცინო ექსპერტიზის მიუხედავად, ვერ დადასტურდა, რომ გოგონაზე ვინმემ იძალადა. სამი თვის განმავლობაში, თუ ძალადობის რამე კვალი არსებობდა, ყველაფერი მოშუშდა და გაქრა. მამაკაცებმა ყველაფერი უარყვეს და საბოლოოდ, სასამართლომ მკვლელს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას სატვირთო და საწვავმზიდი სატრანსპორტო საშუალებები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას, აშშ-ის საელჩოს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ფინანსური მხარდაჭერით, სახმელეთო საზღვრის დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სატვირთო და საწვავმზიდი სატრანსპორტო საშუალებები გადაეცა.

2.74 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზღვარზე ლოგისტიკურ პროცესებს _ ხელს შეუწყობს მესაზღვრეების როტაციისა და სასაზღვრო სექტორების პროდუქტითა და საჭირო ინვენტარით მომარაგების პროცესს.

აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტო (DTRA) აქტიურად განაგრძობს სასაზღვრო პოლიციის მხარდაჭერას მისი შესაძლებლობების გაძლიერების, კერძოდ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო საზღვრის დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის მიზნით.

პოლიციამ სენაკში, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1964 წელს დაბადებული ზ.ნ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, სენაკში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში, სანადირო თოფიდან, 1995 წელს დაბადებული გ.ს.-ის მიმართულებით გაისროლა, რა დროსაც სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენა ოთხ პირს: 1995 წელს დაბადებულ გ.ს.-ს, 1992 წელს დაბადებულ ხ.ს.-ს, 1960 წელს დაბადებულ ნ.ნ.-ს და 1984 წელს დაბადებულ რ.ნ.-ს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. ნივთმტკიცების სახით, ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი. ბრალდებული დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

პოლიციამ დედის დამამძიებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, მარტვილში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოსა და მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ო.ბ., ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, მარტვილში დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა საკუთარ დედას – 1970 წელს დაბადებულ რ.თ.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, მუცლის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ქალი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა. ო.ბ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

შს მინისტრის მოადგილემ კახეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების ახალი დირექტორები წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ ბორცვაძემ კახეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელები პირადად წარუდგინა. კახეთის პოლიციის დეპარტამენტს პოლიციის პოლკოვნიკი, კახაბერ მურადაშვილი უხელმძღვანელებს, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტს კი – პოლიციის პოლკოვნიკი, ილია კვაღინიძე. ვლადიმერ ბორცვაძემ კახეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების ახლადდანიშნულ დირექტორებს წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა.

კახაბერ მურადაშვილს, 2016 წლიდან ამ დრომდე, გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ეკავა.

რაც შეეხება ილია კვაღინიძეს, ის 2020 წლის მაისიდან ამ დრომდე, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული და საკადრო ოპტიმიზაციის მიზნით, პოლიციის დეპარტამენტებში საკადრო ცვლილებები პერიოდულად ხორციელდება. ოპერატიული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცვლილებების მიზანია საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ 1 თებერვლიდან, COVID-19-ის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების გამო შეჩერებული სერვისების ეტაპობრივი განახლება დაიწყო და ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, მოქალაქეებს ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ემსახურება.

1 თებერვლიდან, ყოველდღიურ რეჟიმში განაგრძობს ფუნქციონირებას სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციასთან, განბაჟებასთან, რეექსპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული პროცედურები. ასევე, სრულად აღდგა იარაღის რეგისტრაცია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე ჩაბარებული აქვთ შესაბამისი ნებართვის გამოცდა, ან არ საჭიროებენ გამოცდის ჩაბარებას.

1 თებერვლიდან, მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლას შეძლებენ ის პირები, რომლებსაც უკვე ჩაბარებული აქვთ თეორიული გამოცდა.

აღსანიშნავია, რომ მართვის უფლების მიღების მსურველები B კატეგორიის პრაქტიკულ გამოცდას ჩააბარებენ თანამედროვე GPS სისტემით აღჭურვილი, SKODA RAPID-ის მოდელის სატრანსპორტო საშუალებებით, რუსთავისა და გორის საგამოცდო მოედნებზე, ხოლო დანარჩენ სტრუქტურულ ერთეულებში, ეტაპობრივად ჩანაცვლდება ძველი საგამოცდო მანქანები ახალი მოდელებით.

1 თებერვლიდან, ასევე, შესაძლებელი იქნება მომსახურების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ფარგლებს გარეთ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება.

რაც შეეხება მომსახურების სააგენტოს მიერ გასაცემ ცნობებს, განაცხადის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული წესით, მონაცემთა სუბიექტის მიერ, მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით (sa.gov.ge). მომსახურების ცენტრებში მზა დოკუმენტი გაიცემა განაცხადის შევსებისას მითითებულ სტრუქტურულ ერთეულში ყოველდღე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით.

1 თებერვლიდან, მომხმარებლებისთვის კვლავ შეზღუდული იქნება მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე გასვლა.

დროებით კვლავ შეჩერებული იქნება სერვისების მიწოდება თბილისში, ჯ. ბალანჩინის ქუჩაზე მდებარე მომსახურების ცენტრში (გარდა სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ფარგლებს გარეთ, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების სერვისისა), ახალქალაქისა და ამბროლაურის სტრუქტურულ ერთეულებში.

მომსახურების სააგენტო, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, სრულად ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებს. სააგენტო მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ სერვისების მისაღებად, ადგილზე გამოცხადდნენ პირბადით.

შსს-ს გენინსპექციამ სამსახურიდან უბნის ორი ინსპექტორი და ერთი პატრული დაითხოვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დასკვნის საფუძველზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის სამმართველოს უბნის ორი ინსპექტორი და ფოთის საქალაქო განყოფილების პატრულ-ინსპექტორი სამსახურიდან დაითხოვეს.

დადგინდა, რომ აღნიშნული პირები, მოქალაქის შესახებ ინფორმაციის უკანონოდ მოძიების მიზნით, ერთმანეთს დაუკავშირდნენ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, თავისი კუთვნილი გენერირების მოწყობილობა „დიჯიპასის“ მეშვეობით, სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში შევიდა და კონკრეტული მოქალაქის შესახებ ინფორმაცია მოიძია.

პოლიციის თანამშრომელმა მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს გადასცა. მოგვიანებით, აღნიშნული ინფორმაცია ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გავრცელდა.

გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული პირები დათხოვნილი არიან სამსახურიდან.

police.ge

კვარაცხელია სერია A-ში?

„იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „რომა“, „ნაპოლი“ და „დორტმუნდი“ – ეს ის კლუბებია, რომლებიც ხვიჩა კვარაცხელიას სამსახურით არიან დაინტერესებულნი. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელის აგენტის, მამუკა ჯუღელის თქმით, ხვიჩას შეძენა სწორედ მათ სურთ და ამ მხრივ აქტიურეობენ კიდეც. უფრო თუ დავკონკრეტდებით, მისივე ინფორმაციით, კვარაცხელიას მთავარი გამოცდის ჩაბარება მარტის ბოლოს მოუწევს.

25 მარტს, საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში შვედეთს სტუმრობს, 28 მარტს – ესპანეთს ვმასპინძლობთ, 31 მარტს კი ისევ საბერძნეთთან გველის დაპირისპირება. ამ სამ შეხვედრაში, კვარაცხელია ნაკრების მთავარი ვიოლინო უნდა იყოს და რაც მთავარია, უცხოელები იმასაც დააკვირდებიან, ექვს დღეში გასამართ სამ შეხვედრას როგორ ფიზიკურ კონდიციებში შეხვდება ჩვენი „ოქროს ბიჭი“.

სერხიო რამოსი „რეალიდან“ მიდის

მადრიდის „რეალი“ და მისი კაპიტანი, სერხიო რამოსი ახალ ხელშეკრულებაზე ვერ თანხმდებიან. საქმე ის გახლავთ, რომ „სამეფო გუნდი“ 30 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს კონტრაქტს მხოლოდ ერთი წლით უგრძელებს, რამოსს კი, მინიმუმ, ორწლიანი გარანტირებული სამუშაო სჭირდება, თანაც ისე, რომ მის წლიურ ჯამაგირს – 9 მილიონ ევროს არაფერი მოაკლდეს.

ესპანელ მცველს კონტრაქტი უკვე შესთავაზა რამდენიმე აზიურმა კლუბმა და ფრანგულმა პსჟ-მ, თუმცა კლიმატის რადიკალურად გამოცვლა თავად ფეხბურთელს არ სურს, ამიტომ ცდილობს, კარიერა ნისლიან ალბიონზე გააგრძელოს. ესპანელის აზრით, ინგლისისა და ესპანეთის კლიმატი ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

ჰოდა, დიდი ალბათობით, რამოსი კარიერას „მანჩესტერ იუნაიტედში“ გააგრძელებს. მისი ძმა, რენე რამოსი, რომელიც ამავდროულად, ფეხბურთელის აგენტია, მანჩესტერს მიმდინარე კვირაში ეწვევა და ძმის ახალი კონტრაქტის დეტალებს შეათანხმებს.

მესის კონტრაქტი გასაჯაროვდა – 555 მილიონი ევრო!

2017 წელს, ლიონელ მესიმ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. მაშინ ითქვა, რომ კატალონიურმა გრანდმა ლეოს უპრეცედენტო ხელშეკრულება გაუფორმა, თუმცა კონფიდენციალურობის გამო, კონკრეტულ ციფრებს არავინ ამბობდა. ახლა კი, კონტრაქტი El Mundo-მ გაასაჯაროვა.

„ხელშეკრულების მიხედვით, ოთხ წელიწადში, ლიონელმა 555 237 619 ევრო უნდა მიიღოს ანუ ნახევარ მილიარდზე მეტი. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა „ბარსელონას“ გაკოტრების ზღვარზე მისვლის მიზეზი“, – დაწერა გამოცემამ.

„ბარსელონამ“ კონფიდენციალური კონტრაქტის გასაჯაროვების გამო, El Mundo-ს უკვე უჩივლა, მესიმ კი თავად „ბარსას“ უჩივლა და იმ ადამიანის დასჯა მოითხოვა, რომელმაც ხელშეკრულება გაასაჯაროვა.

ისე, არავინ დაობს, რომ მესი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ... ოთხ წელიწადში, ნახევარ მილიარდ ევროზე მეტი ძალიან, ძალიან ბევრია.

ბათო ჯაფარიძე

გაქცევა წარსულიდან

ვანო პავლიაშვილი

(სოსო რეალური პიროვნება არაა, მაგრამ პროტოტიპი ჰყავს, „სოფო“, წვეროსნებისა და სხვა დანარჩენი დეტალების მსგავსად, ნაწილობრივ გამოგონილია)

სოსო არც კაფანდარა კაცია და არც – მაღალი. საშუალო სიმაღლისაა, აი, ისეთი, როგორიც ნებისმიერი სტატისტიკური ქართველია. სოსო ოდნავ, სულ ოდნავ მელოტია, საფეთქლებთან შევერცხლილი თმა და პირველი თოვლივით ქათქათა კბილები აქვს.

სოსო სულ ან თითქმის სულ იღიმის, მაგრამ თუ თვალებში ჩახედავთ, მიხვდებით, რომ დიდ ვარამს ატარებს. რაღაცნაირად შეგეცოდებათ და ჰკითხავთ, რა გჭირსო? არაფერიო, – მხრებს აიჩეჩავს სოსო და ისე მადიანად გაგიღიმებთ, რომ თქვენდაუნებურად ბავშვობაში დაბრუნდებით, აი, იმ დროში, სიტყვა „პრობლემის“ მნიშვნელობა რომ არ გესმოდათ და ცხოვრების სიმშვენიერეში დარწმუნებულნი იყავით.

არა, ახლა, თუ ბოლომდე გულახდილები ვიქნებით და საკუთარ თავს გამოვუტყდებით, ცხოვრება, მართლაც, მშვენიერია. მშვენიერია იმიტომ, რომ ყოველ დილით ამოსული მზე რაღაცნაირად იმედს გვაძლევს, რომ დღევანდელი დღე გუშინდელზე უკეთესი იქნება, ხვალინდელი კი – დღევანდელზე, მაგრამ ცხოვრების ეს სიმშვენიერე ბოლომდე რომ შევიგრძნოთ, ადამიანებს ხელს ერთი რამ გვიშლის – გამუდმებით გუშინდელ სისულელეებზე ვფქირობთ, სინდისი გვქენჯნის და თავს ვიდანაშაულებთ, აი, გუშინ ეს რომ არ გამეკეთებინა, დღეს ასე იქნებოდაო.

ჰო, წარსულზე დარდი და ვიშვიშვი ჩვენი – ადამიანების ერთგვარი კარმა და მოჯადოებული ბედისწერა, ბედისწერა, რომელსაც თავად ვქმნით და ამ ლაბირინთს თავს სიცოცხლის ბოლომდე ვეღარ ვაღწევთ. უფრო სწორად, არც კი ვცდილობთ, რომ თავი დავაღწიოთ.

სოსოც, როგორც ყველა სტატისტიკური ადამიანი, სწორედ წარსულის ტყვეობაშია, თან ისეთ ტყვეობაში, რომ სულ კოშმარები ესიზმრება... წუხელაც ისეთი საშინელება ნახა, რომ ახლაც კი, თავი რომელიღაც თავზეხელაღებული ჰოლივუდელი ფანტაზიორის ფილმის პერსონაჟი ჰგონია.

სოფო ესიმზრა – ისეთივე კანჭმაღალი იყო და ისეთივე ცასავით უძირო თვალები ჰქონდა, როგორც მაშინ, პირველად რომ ნახა. სოფო ეზოს ბოლოში, ღობესთან იდგა და სადღაც, ცის დასალიერს მიშტერებოდა. უცებ, რაღაც არამიწერი გრუხუნი გაისმა. საიდანღაც წვეროსანი კაცები გაჩნდნენ, სოფოს ეცნენ და მიწაზე დააგდეს... მერე, კიდევ ერთი, უფრო უსიამოვნო გარეგნობის წვეროსანი მოვიდა, ხელში ბებუთი ეჭირა... მიწაზე დაგდებულ გაკოჭილ სოფოს არაადამიანური ვნებით დახედა და... ბებუთი პირდაპირ ყელზე დაუსვა... სისხლმა შადრევანივით იფეთქა... სოსო ეზოს თავში, ძველებური სახლის კართან იდგა. თავიდან ცდილობდა, საიდანღაც გაჩენილ გამხეცებულ თავისიანებს თვალში არ მოხვედროდა, მაგრამ... როცა იმ ბებუთიანმა სოფოს ყელი გამოჭრა, თავი ვეღარ შეიკავა და იყვირა:

– ჯალათებო!.. დაგხოცავთ!..

ადამის გამხეცებულმა ნაშიერებმა სოსო ახლაღა შეამჩნიეს. აი, იმან, ბებუთი რომ ჰქონდა, სოფოს სისხლით დასვრილი ერთი ხელი შუბლზე ისე მოიჩრდილა, თითქოს მზეს ემალებაო, მეორეთი კი სოსოს ანიშნა, აქ მოდიო...

სოსომ, ერთი კი იფიქრა, თავს ვუშველიო, მაგრამ მერე, მამაკაცურმა თუ შინაგანმა სიამაყემ ნება არ მისცა, გაქცეულიყო და წვეროსნებისკენ მტკიცე ნაბიჯებით წავიდა.

ეზოს ბოლოში რომ მივიდა, სოფო აღარ ფეთქავდა... საიდანღაც მოსული გამხეცებული ადამიანებიდან ზოგი ატყავებდა, ზოგი ცეცხლს ანთებდა, ზოგიც ჯოჯოხეთურად იკრიჭებოდა...

– ჭამე! – უბრძანა ბებუთიანმა სოსოს და თბილი ხორცის ვეებერთელა ნაჭერი ლამის პირში ჩასჩარა.

სოსოს გული აერია.

– ჭამე! – იღრიალა ბებუთიანმა.

– შენი დედაც... – ლამის ნახევარი საუკუნის ისე მოიყარა, რომ სოსომ ხმამაღლა პირველად შეიგინა...

... როგორღაც თავს ძალა დაატანა და ძილს თავი დააღწია, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი თავდაღწევა იყო – ორი ყლუპი წყალი დალია და... ისევ ბანგდალეულივით დაეძინა, თან ყველაზე უცნაური ის იყო, რომ წეღანდელ კოშმარში დაბრუნდა – ის წვეროსანი მაჯლაჯუნები წასულიყვნენ... თვითონ ისევ ეზოს ბოლოში იდგა, სოფოს ლეშთან...

ფიქრმა შორს წაიყვანა, ბნელ და ცივ 90-იანებში. უმაღლესი სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა. ერთი გოგო მოსწონდა, არა, კი არ უყვარდა, უბრალოდ, მოსწონდა და ფიქრობდა, ხელს ვთხოვ, ცოლად რომ შევირთავ, იქნებ, შემიყვარდესო, მაგრამ... ცოლი რომ მოეყვანა, ათკაციანი პურ-მარილი მაინც ხომ უნდა გაეშალა? ჰოდა, იფიქრა, საქონელს გავიჩენ, რძე-მაწონს გავყიდი, ერთი-ორ წელში, ცოტა ფულს დავაგროვებ და მერე დავქორწინდებიო. ბიძაშვილმა უთხრა, მეზობელ სოფელში ერთი კაცი ხბოს იაფად ჰყიდის, ფულს მე გასესხებ და როცა გექნება, მაშინ ჩამასესხეო. სოსოს ბევრი არ უფიქრია, ახლავე წავიდეთო და... „სოფო“ შინ, ბიძაშვლის დაფახფახებული „უაზით“ „მოაბრძანა“... ხბოს სოფო წინა პატრონმა დაარქვა. სოსომ, მშვენიერი სახელია, ერქვასო და აღარ შეუცვალა...

დღე-დღეს მისდევდა, კვირა-კვირას... „სოფო“ „დაქალდა“... ნახირში გაუშვეს... წლის ბოლოს, თვალებბრდღვიალა ხბო მოიგო... მეწველი გამოდგა „სოფო“ – ათ, ხან 12-13 ლიტრსაც იწველიდა. სოსო მხოლოდ რძე-მაწონს კი არ ჰყიდდა, ყველის ამოყვანაც ისწავლა... სოფელში ამბობდნენ, სოსოსნაირ ყველას ვერავინ აკეთებსო...

წლები გადიოდა... „სოფო“ ბერდებოდა... სოსო ფულს აგროვებდა და აი, იმ გოგოს, სიყმაწვილიდან რომ მოსწონდა, შორიდან ესიყვარულებოდა... იმ გოგოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, სოსო ხელის თხოვნას რომ უპირებდა, ანდა საიდან ეცოდინებოდა, როცა სოსო ორ მეტრზე ახლოც არ მიჰკარებია – თუ შემთხვევით უბანში შეხვდებოდა, ისე შერცხვებოდა ხოლმე, თმის ძირიდან ფეხის თითამდე წითლდებოდა, თავს ჩაქინდრავდა, ერთს ამოილუღლუღებდა, გამარჯობაო და ქურდივით გაიძურწებოდა. ჰოდა, ადგა ეს გოგოც და გათხოვდა... სოსოს გული დასწყდა, მაგრამ დარდს არ დაემონა, სხვა გამოჩნდებაო და... მინი-ფერმის მოვლა განაგრძო...

ისევ გავიდა წლები...

„სოფო“ დაბერდა... გვიან შემოდგომაზე, შებინდებისას, სოფლის რაღაცნაირი სიჩუმე ნახირის ბღავილმა დაარღვია... სოსომ კარი გააღო, მაგრამ... მაგრამ „სოფო“ არ მოვიდა. მენახირესთან გაიქცა, იმ კაცმა მხრები აიჩეჩა, არაფერი ვიცი, არც შემიმჩნევია, ნახირს ჩამორჩენოდაო... მთელი ღამე ეძებდა სოსო სოფოს... მთელი ღამე მუხლი არ ჩაუხრია – ყველა ბნელი კუთხე-კუნჭული მოიარა, მაგრამ... ვერსად იპოვა...

შინ დარდიანი დაბრუნდა...

მეზობელმა დაუძახა, იოსებ, „ყაყიჩაანთ“ კართან, „მაშინას“ ძროხა გაუტანია, წამო, ნახე, შენი „სოფო“ ხომ არ არისო...

სოსო მზის სინათლის სიჩქარეზე სწრაფად გავარდა...

„სოფო“ შუაზე იყო გაგლეჯილი...

ცრემლი მოერია...

მერე...

ხმით ატირდა, ატირდა იმიტომ, რომ „სოფო“ მისი ერთადერთი მეგობარი და ჭირ-ვარამის თანაზიარი იყო.

ახლა? – ახლა კი აღარავინ დარჩა, სულ აღარავინ...

– შვილო, საქონელზე ტირილი არ შეიძლება, ცუდის ნიშანიაო, – დაუყვავა ნინა ბებომ.

– კარგიო, – თავი დაუქნია სოსომ და... ცხოვრება ისე გააგრძელა, როგორც შეეძლო – მეტ-ნაღლებად კარგი სამსახური იშოვა, იაფფასიანი მანქანაც იყიდა, სახლიც გაარემონტა. აი, ცოლი კი ვერა და ვერ შეირთო: ხან თვითონ არ მოსწონდა, ხან – მას იწუნებდნენ...

ასე მოვიდა აქამდე. ახლა კი, კოშმარები დასჩემდა, კოშმარები, რომლებმაც სიცოცხლე გაუმწარეს და აწმყო დაავიწყეს.

სოსოს დაღამების ეშინია, რადგან ზუსტად იცის, რომ ის გამხეცებული წვეროსნები ისევ მოვლენ, ისევ მოკლავენ „სოფოს“ და მისი ხორცის ჭამას ისევ აიძულებენ...

სოსოს უნდა, წარსულიდან გაიქცეს და აწმყოთი იცხოვროს...

სოსო წარსულს აუცილებლად გაექცევა...

სოსო რეალობას აუცილებლად დაუბრუნდება და... აღარც იმ შეცდომების შეეშინდება, რომლებიც გუშინ თუ გუშინწინ დაუშვა!

დღეს, ხვალ ან, სულაც, ოდესმე, სოსო აუცილებლად მიხვდება, რომ... უშეცდომო არავინაა და ცხოვრება თავიდან რომ დაიწყოს, ზუსტად იგივე შეცდომებს დაუშვებს!

ჰო, სოსო საკუთარ წარსულს აუცილებლად შეიყვარებს და აუცილებლად ბედნიერი იქნება!

ყამიანობა, 2020 წელი

წასვლა დედამიწიდან

ივანო პავლიაშვილი

ყველაფერი ისე იდეალურად იყო, რომ ხანდახან ეშინოდა კიდეც. უფრო სწორად, გრძნობდა, რომ ეს იდეალურობა უცებ საპნის ბუშტივით გასკდებოდა და რეალობის პირისპირ აღმოჩნდებოდა. ეს რეალობა კი ისეთი აუტანელი იქნებოდა, რომ საკუთარი გაჩენის დღეს დასწყევლიდა. იცოდა, რომ თუ ამ ბოროტ ფიქრებს არ განდევნიდა, კოსმოსში გაგზავნილი უარყოფითი ენერგია, ადრე თუ გვიან, უკან დაუბრუნდებოდა. ამიტომაც, თავს ძალა დაატანა და ყველა უარყოფითი აზრი მოკლა, მაგრამ აი, სწორედ მაშინ, როცა დარწმუნებული იყო, რომ ცუდი აღარაფერი მოხდებოდა, ტელეფონმა დარეკა. ეკრანს დახედა. ნომრის რამდენიმე ციფრი ეცნო, თუმცა ვერ მივხდა, ვინ შეიძლება ყოფილიყო.

უპასუხა.

– მე ვარ... – რაღაცნაირად მოგუდული ხმა გაისმა.

– შენ?.. საიდან გაგახსენდი?.. ახალი ნომერი გაქვს? – ჩაეკითხა.

– სულ მახსოვხარ...

– დამცინი? – სიგარეტს მოუკიდა.

– არა... ძალიან მჭირდები...

– შეგეშალა, 112-ზე უნდა დაგერეკა, – შეეცადა, ეხუმრა.

– მომისმინე... ხომ გახსოვს, ხვალ შობაა, – რაღაცნაირად მოგუდული ხმა კიდევ უფრო მოგუდული მოეჩვენა.

– ჰო, მახსოვს. მერე?

– ეკლესიაში წავიდეთ.

– შენ და ეკლესია? – გულწრფელად გაოცდა.

– წავიდეთ, გთხოვ...

აღარაფერი უთვამს... დასთანხმდა...

ტაძარში შესულმა უჩვეულო სიცივე იგრძნო – ადამიანები სანთლებს ანთებდნენ და „უფალო შეგვიწყალე“-ს ბუტბუტებდნენ... ყველა მათგანს ისეთი სასოწარკვეთილი სახე ჰქონდა, რომ უნებურად გაიფიქრა, ნეტავ, ღმერთი ყოველთვის ახსოვთ, თუ მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა გამოუვალ სიტუაციაში ვარდებიანო?!

– ორი სანთელი ვიყიდო თუ ოთხი? – ფიქრი რაღაცნაირად მოგუდულმა ხმამ გააწყვეტინა.

– რამდენიც გინდა, – მხრების აჩეჩვით უპასუხა.

– ხუთი სანთელი, თუ შეიძლება, – უთხრა რაღაცნაირად მოგუდულმა ხმამ სახედანაოჭებულ მესანთლე ქალს.

– ლარნახევარი, – ჩაილაპარაკა მესანთლემ.

– შეხედე შენ, ლარის ინფლაცია სანთლებსაც შეხებია, – უშნოდ იხუმრა.

– გეყოფა, – დაუყვავა რაღაცნაირად მოგუდულმა ხმამ.

მერე?

მერე მისი თანმხლები წმინდანად შერაცხული რომელიღაც ქართველი მეფის ხატთან მივიდა. თვითონ კი ტაძრის კარს ამოეფარა და... ფიქრმა წაიღო, უფრო ზუსტად, გაუელვა, რაღაც ცუდი უნდა მოხდესო.

დაიზაფრა...

– რა გჭირს? – რაღაცნაირად მოგუდული ხმა მოესმა.

– რა ვი... ისეთი არაფერი...

ტაძრიდან აჩრდილებივით გამოვიდნენ. იქვე, ეზოში, დახავსებული საფლავის ქვაზე ჩამოსხდნენ.

– ესე იგი, ეს დასასრულია, – თავისთვის ჩაილაპარაკა.

– რა?

– ანუ, დასრულდა? – ამჯერად წინადადებას უკვე კითხვის ფორმა მისცა.

– მე ასე არ ვფიქრობ...

– რატომ იტყუები?! – თვალი თვალში გაუყარა.

– ტყუილი რომ მდომოდა, შეხვედრასაც არ გთხოვდი...

– აღსარებას მეუბნები? – წაიცინიკოსა.

– დღეს უფალი დაიბადა, – რაღაცნაირად მოგუდული ხმით სიტყვა ბანზე აუგდო.

– ვიცი...

– ნეტავ, ჩემზე რას ფიქრობს?

– ვინ?

– მაცხოვარი...

– მე გეტყვი, შენზე რასაც ვფიქრობ.

– ეგ ვიცი, მე უფლის აზრი მაინტერესებს...

ფეხზე წამოდგა. ხელები ზევით, ცისკენ ასწია და მოუნდა, მთელი ძალით ეყვირა:

– დავიღალეეეეე!

ჰო, ის მართლა დაიღალა.

რამ დაღალა? – ბევრმა რამემ: ადამიანების უსიცოცხლო ღიმილმა, პროტოკოლურმა მეგობრობამ, ფარისევლურმა კეთილგანწყობამ, მოჩვენებითმა სიახლოვემ...

ყველაზე მეტად კი საკუთარმა თავმა დაღალა, უფრო სწორად, იმან, რომ აქ, დედამიწაზე ადაპტაცია ვერ მოახერხა. არა, ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: ხან ზედმეტ სითამამეს უწუნებდნენ, ხან – ჩაცმის სტილს, ხან – საუბრის მანერას... ბოლოს, ერთმა ისიც კი უთხრა, ყველას თავს ნუ უყადრებ, ნაცნობ-მეგობრები სოციალური მდგომარეობის მიხედვით შეარჩიეო.

ხელი ჩაიქნია, ამ უცხოპლანეტელებს რა უნდა ველაპარაკოო და გარე სამყაროსთან კომუნუკაცია, პრაქტიკულად, შეწყვიტა. აღარც კი ახსოვს, დიოგენესავით კასრში, ესე იგი, საკუთარ ათკვადრატულიან ოთახში რამდენ ხანს იჯდა. აღარც ის ახსოვს, ის რაღაცნაირად უცნაური მაღაზიაში გაიცნო თუ გაჩერებაზე, ავტობუსს რომ ელოდებოდა. შეხედა თუ არა, მიხვდა, რომ მისიანი იყო – სხვანაირად მოაზროვნე, აი, ისეთი, ელიტურ ქაჯებს სიმართლეს პირში რომ ახლიან ხოლმე.

პირველივე გამოლაპარაკებისთანავე თავი კომფორტულად იგრძნო. მერე, ეს გამოლაპარაკება, ლამის ყოველდღიურ თუ ყოველწუთიერ ჩვევად იქცა, საუბრობდნენ ყველაფერზე – ქართული აგიოგრაფიიდან დაწყებული, თანამედროვე მხატვრობით დამთავრებული. აღიარებდა, რომ მისგან ბევრი რამ ისწავლა. ყველაზე მთავარი კი მაინც ის იყო, რომ საკუთარი თავის ფასი უფრო მეტად გაიგო და იმასაც მიხვდა, რომ რაც აქამდე აკლდა, სიმართლე იყო, სიმართლე, რომელსაც შემთხვევით გაცნობილის გარდა, არავინ და არასოდეს ეუბნებოდა...

ჰო, ყველაფერი ისე იდელურად იყო, რომ ხანდახან ეშინოდა კიდეც. უფრო სწორად, გრძნობდა, რომ ეს იდეალურობა უცებ საპნის ბუშტივით გასკდებოდა და... გასკდა კიდეც – ისე, რომ არც კი ელოდა, წარსულში დაბრუნდა, იმ სტატუს-კვოში, სადაც ადამიანების უსიცოცხლო ღიმილის, პროტოკოლური მეგობრობის, ფარისევლური კეთილგანწყობისა და მოჩვენებითი სიახლოვის მეტი არაფერი იყო...

საუბარი შესძულდა... ადამიანების დანახვაც აღარ უნდოდა...

და სწორედ ამ დროს აღმოაჩინა, რომ იმ ხანმოკლე იდეალურობასთან ერთადაერთი რამ აკავშირებდა – ეს შობა იყო, შობა, როცა ყველაფერს წერტილი დაესვა.

შობა შეუყვარდა, თან უხაროდა, რომ სამყარო შობას ორჯერ ზეიმობდა...

ტრადიციად აქცია – ტაძარში წელიწადში მხოლოდ ორჯერ მიდიოდა და უფალს დაბადების დღეს ორჯერ ულოცავდა.

მერე?

მერე, ტაძრის ეზოში, დახავსებული საფლავის ქვაზე ჩამოჯდებოდა, სადღაც იქ, უსასრულობაში იყურებოდა და საათობით ფიქრობდა, ფიქრობდა იმ დროზე, როცა თავს იდეალურად გრძნობდა.

მერე?

მერე ფიქრიც შესძულდა...

ტაძარშიც აღარ მიდიოდა...

იჯდა თავის ათკვადრატულმეტრიან ოთახში და ელოდა...

ვის? – არავის.

უბრალოდ ელოდა, რომ ადრე თუ გვიან, იქ, სადღაც კარი გაიღებოდა და... დედამიწას ზევიდან გადმოხედავდა.

დრო იწელებოდა...

მას უნდოდა, თავი ისევ ისე იდეალურად ეგრძნო, როგორც ერთხელ, წამიერად, შორეულ წარსულში იგრნო.

ის ელოდა...

მან იცოდა, რომ იქ სადღაც, უსასრულობაში სიმშვიდეს იპოვიდა...

დრო იწელებოდა...

შობა გათენდა...

ტაძარში წავიდა...

დახავსებული საფლავის ქვაზე დაჯდა, სადღაც იქ, უსასრულობაში გაიხედა და...

მერე, წლები რომ გავიდა, ვიღაცები ამბობდნენ ხოლმე, ტაძრის ეზოში სული ცხოვრობს, სული, რომელიც ადამიანების უსულობას განიცდისო...

საერთოდ, დედამიწელები ათას რამეს ამბობენ – ლაპარაკის მეტი დედამიწელებმა ხომ არაფერი იციან....

ვინ არის და რა გზა გაიარა კამალა ჰარისმა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტობამდე

ირუსა ხავთასი



ერთი კვირის წინ, 20 იანვარს, მსოფლიო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ინაუგურაციას ადევნევდა თვალყურს, რომელიც ძალიან განსხვავებული და ისტორიული მოვლენა იყო. ამის მიზეზი არამარტო პანდემია, არამედ, აშშ-ის ისტორიაში პირველი ფერადკანიანი ვიცე-პრეზიდენტი ქალის, კამალა ჰარისის ოვალურ ოფისში შესვლაცაა. დღეს, სწორედ ამ განსაკუთრებული და წარმატებული ქალის ისტორიას მოგიყვებით.

კამალა 1964 წლის ოქტომბერში, კალიფორნიაში, ფერადკანიანი იამაიკელი მამისა და ინდოელი დედის ოჯახში დაიბადა. იმიგრანტმა მშობლებმა, თავიანთი კულტურისა და წარმომავლობის პატივსაცემად, შვილს „კამალა“ დაარქვეს, რომელიც ყვავილ ლოტუსს ნიშნავს და ბუდიზმში ქალღმერთ ლაქშმის უკავშირდება. გოგონას დედა, დოქტორი შიამალა გოპლანი, დონალდ ჰარისს, სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისას შეხვდა. აშშ-ში, იმ დროს, ადამიანის უფლებებისა და რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ ბევრი პროტესტი და აქცია იმართებოდა, რასაც ჰარისის მშობლებიც ესწრებოდნენ და აქტიურადაც იყვნენ ჩართულნი. მათ კამალა და მისი დაც დაჰყავდათ ამ გამოსვლებზე და სწორედ ამიტომ, დღესაც, ეს ღირებულებები მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ყველაფერ ამის დამსახურებაა, რომ კამალა ბავშვობიდანვე იბრძოდა და იცავდა სხვების უფლებებს. ამის დასტურია ისიც, როდესაც 13 წლის ასაკში, მან მეზობლად მცხოვრები ბავშვები შეკრიბა და აქცია გამართა, რომლითაც აპროტესტებდა, რომ მათი საცხოვრებელი კორპუსის წინ მდებარე გაზონზე, ბავშვებს თამაშის უფლება ჰქონოდათ. სხვათა შორის, ეს აქცია წარმატებით დასრულდა.

ჰარისი 7 წლის იყო, როდესაც მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ, რამაც მასზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. გოგონას დედა კიბოს განკურნების მოსაძებნად, სამედიცინო კვლევებში იყო ჩართული. ამიტომ, ახალი სამსახურის გამო, ჰარისს 12-დან 17 წლამდე კანადაში, კერძოდ კი, მონრეალში მოუწია ცხოვრობა.

„დედას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: გაეზარდა ორი გოგონა და ეპოვნა მკერდის კიბოს განკურნების გზა. სწორედ მის გამო მჯერა, რომ ყველაფერი შესაძლებელია, რაც ადამიანს მართლა უნდა“, – წერს კამალა დედაზე, რომელიც 2009 წელს გარდაიცვალა.

ჰარისს მემუარებიც აქვს გამოქვეყნებული: „The Truths We Hold: An American Journey“, რომელშიც მისი ბავშვობის ისტორიას დაწვრილებით იხსენებს. მისი ისტორიის მოყოლისას ნათელია, რომ ის ბევრად ახლოს იყო დედასთან, მამის შესახებ კი ახლაც ძალიან ცოტას საუბრობს.

კამალამ იურიდიული განათლება მიიღო და ჰასტინგსის კოლეჯში შესაბამისი ხარისხიც მოიპოვა. 1990-98 წლებში, ის ძირითადად ოუკლენდში, პროკურორის მოადგილედ მუშაობდა ნარკოტრეფიკინგისა და ჯგუფური ან სექსუალური ძალადობის საქმეებზე. ამის შემდეგ, 2004 წელს, ოუკლენდის პროკურორი გახდა, 2010 წელს კი კალიფორნიის პირველი ფერადკანიანი გენერალური პროკურორი ქალის თანამდებობდა დაიკავა. 2012 წელს, ის პირველად გამოჩნდა დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე და ბევრ ადამიანს თავი საკმაოდ ემოციური გამოსვლით დაამახსოვრა. ორი წლის შემდეგ კი, 2014 წელს, ის პროკურორ დაგლას ემჰოფზე დაქორწინდა, რომელიც მეგობრებმა გააცნეს. მის მეუღლეს წინა ქორწინებიდან ორი შვილი – კოლი და ელა ჰყავს, რომლებთანაც კამალას ძალიან მეგობრული და ახლო ურთიერთობა აქვს. ისინი მას „momala“-ს ეძახიან, რადგან ტერმინი – დედინაცვალი არ მოსწონთ. კამალას თქმით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, ღირებული და ძვირფასი ტიტულია, რაც კი ოდესმე მიუღია.

„გადაწყვეტილი მქონდა, რომ მათ ცხოვრებაში არ გამოვჩნდებოდი, სანამ მე და დაგიმ არ დავადგინეთ, რომ ეს ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდებოდა, – განმარტა მან, – ბავშვებს სიმშვიდე და სტაბილურობა სჭირდებათ. არ მინდოდა მათ ცხოვრებაში მხოლოდ დროებით გამოჩენა და შემდეგ მათი იმედგაცრუება. ბავშვის იმედგაცრუებაზე უარესი, არაფერია“.

ამის შემდეგ, კარიერული წინსვლა გაგრძელდა და 2016 წლის არჩევნებში, ის სენატში აირჩიეს. სენატორად არჩევის კამპანიის დროს, აქცენტს აკეთებდა საიმიგრაციო საკითხებსა და კრიმინალურ-სამართლებრივ რეფორმებზე, რამაც ხალხი მისით დააინტერესა. 2017 წლის იანვრიდან, კამალა ჰარისმა მუშაობა დაიწყო დაზვერვისა და იურიდიულ კომიტეტში. ის ცნობილი გახდა თავისი პროკურორული სტილით მოწმეების დაკითხვის პროცესში, რასაც რესპუბლიკელების მხრიდან კრიტიკაც მოჰყვა. განსაკუთრებული ყურადღება ჰარისმა მაშინ მიიპყრო, როდესაც ის ამერიკის გენერალურ პროკურორს, ჯეფ სესიონს ჰკითხავდა რუსეთის მიერ, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის საკითხთან დაკავშირებით.

სწორედ ამის შემდეგ, მალევე გახდა ცნობილი, რომ ჰარისს სურდა 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, დემოკრატების კანდიდატთა ნომინაციაში მიეღო მონაწილეობა. თავდაპირველად ის მიჩნეული იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი კანდიდატი, თუმცა მოგვიანებით, ის რბოლას ფინანსების არქონის გამო გამოეთიშა. ცოტა ხანში, ჯო ბაიდენმა, ის მის ვიცე-პრეზიდენტად დაასახელა. ბევრის აზრით, მთლიანი პროცესი იმიტომაცაა საინტერესო, რომ ბაიდენს გადაწყვეტილი აქვს, მხოლოდ ერთი ვადით ანუ 4 წლით იყოს პრეზიდენტი და 2024 წელს, ჰარისს მისცეს საშუალება, გახდეს პირველი ქალი პრეზიდენტი და მას დაუჭიროს მხარი.

ბაიდენის ტრაგიკული ცხოვრება

ერუსა ხავთასი

20 იანვარს, მსოფლიომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია ნახა. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული მოვლენების ფონზე, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ს ისტორიაში ყველაზე სკანდალური იყო. პრეზიდენტის იანუგურაცია წელსაც განსხვავებულად ჩატარდა – ჯო ბაიდენის საინაუგურაციო კომიტეტმა საზოგადოებას მოუწოდა, კოვიდპანდემიის გამო, ჯანდაცვის ნორმები დაეცვათ, სახლებში დარჩენილიყვნენ და ტელევიზიის საშუალებით ედევნებინათ თვალი პრეზიდენტ ბაიდენისა და ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისის ფიცის დადების ცერემონიისთვის.

რატომ დაეღუპა პირველი ცოლ-შვილი, რა პრობლემები ჰქონდა ბავშვობაში და როგორ მიაღწია წარმატებას – ყველაფერი ის, რაც აშშ-ს ახალ პრეზიდენტზე აქამდე არ ვიცოდით

გასაკვირი არ არის, რომ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოშიც განსაკუთრებული გულმოდგინებით ადევნებდნენ თვალს, რადგან სწორედ ამ არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული, რა პოზიციას დაიკავებს ჩვენი ქვეყნის მიმართ, მისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი. პრეზიდენტობის ორივე კანდიდატს, დონალდ ტრამპსა და ჯო ბაიდენს, საქართველოში ძალიან კარგად იცნობენ, თუმცა ამჯერად, „ვერსია“ გამარჯვებული კანდიდატის, ჯო ბაიდენის საინტერესო, ტრაგიკული და სირთულეებით სავსე ცხოვრების დეტალებს შეგახსენებთ.

ბევრისთვის უცნობია, რომ ჯო ბაიდენის ისტორია, ბავშვობაში ძლიერი მეტყველების დეფექტით, იგივე ენის ბორძიკით იწყება. პენსილვანიაში დაბადებული პატარა ბიჭი, ამის გამო, სკოლაში ძლიერი ბულინგის მსხვერპლი იყო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, კონგრესმენის დამ, ვალერია ბაიდენმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ ტრავმულმა პერიოდმა და გამოწვევამ ასწავლა, როგორ ყოფილიყო უფრო კეთილი, შემწყნარებელი და თანამგრძნობი სხვა ადამიანების პრობლემების მიმართ.

„მე ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში არაფერს შეულახავს და დაუკარგავს ჩემი ღირსება ასე უცბად, მტკივნეულად და საფუძვლიანად, როგორც ენის ბორძიკს სკოლაში“, – განაცხადა ბაიდენმა 2008 წელს, საუბრისას.

სწორედ ამის გამო, ახალგაზრდა ჯო ბაიდენი იძულებული გახდა, მუდმივად შეწინააღმდეგებოდა იმ ბავშვებს, რომლებიც მას აბულინგებდნენ. ძლიერი ენის ბორძიკი, მან ყოველდღიურად, რამდენიმე საათის განმავლობაში, სარკესთან ლექსების გამეორებით დასძლია. მისი თქმით, დაეხმარა ისიც, რომ დედა სულ მის გვერდით იყო და გულშემატკივრობდა. ამ ფაქტმა განაპირობა, რომ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ყოველთვის დახმარებოდა სხვადასხვა ორგანიზაციას, რომლებიც ძლიერი მეტყველების დეფექტის მქონე ბავშვებზე ზრუნავდნენ. 2020 წელს, დემოკრატების კანდიდატად წარდგენისას, ერთ-ერთი გამომსვლელი, 13 წლის, მეტყველების პრობლემის მქონე, ბრეიდონ ჰარინგტონი იყო, რომელსაც ბაიდენი, ნიუ ჰემფშირის შტატში შეხვდა და დაუმეგობრდა. ბრეიდენისთვის, რომელსაც ასევე აქვს მეტყველების პრობლემები, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმის დანახვა, რომ მისნაირი ადამიანები ასეთ დიდ წარმატებას აღწევენ.

„ძალიან მოკლე ხანში, ჯო ბაიდენმა შეძლო, უფრო თავდაჯერებული გავეხადე, გადამელახა ის პრობლემა, რომელიც მთელი ცხოვრება მაწუხებს. მივხვდი, რომ ჯო ბაიდენისთვის ჩვენი პრობლემები სულერთი არ იყო და ის ზრუნავდა ჩემზე“, – თქვა ჰარინგტონმა, დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ემოციური გამოსვლისას.

ბაიდენს მეტყველების პრობლემებმა სწავლაში ხელი მაინც ვერ შეუშალა და 1965 წელს, მან ბაკალავრის ორმაგი ხარისხი ისტორიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებში, მაინორით კი – ინგლისურ ენაში მიიღო. სირაკუზას უნივერსიტეტში, იურისპრუდენციის სწავლისას პირველ მეუღლეს, ნეილია ჰანტერს შეხვდა, რომელთანაც სამი შვილი ჰყავს: ბო, ჰანტერი და ნაომი. 1972 წელს, ბაიდენი დელავერის შტატის სენატორი გახდა, ჩაატარა წარმატებული საარჩევნო კამპანია, რომელშიც უსახსრობის გამო, მთელი მისი ოჯახი აქტიურად მონაწილეობდა. თუმცა სწორედ ამ ზეიმისა და წარმატების დროს, ოჯახს თავს საზარელი ტრაგედია დაატყდა – 18 დეკემბერს, ავტომობილს, რომელსაც ნაომი მართავდა და რომელშიც მისი შვილები ისხდნენ, ტრაქტორის ტიპის მანქანა დაეჯახა. სენატორ ბაიდენის ახალგაზრდა მეუღლე და ქალიშვილი ნაომი, ავტოკატასტროფაში, ადგილზევე დაიღუპნენ, მისი ვაჟები კი მძიმედ დაშავდნენ. ბაიდენი ინტერვიუებში იხსენებს, რომ წინა ღამით, მის მეუღლეს, თითქოს რაღაც წინათგრძნობა ჰქონდა, რადგან საკმაოდ უცნაური კითხვა დაუსვა: „რა მოხდება მომავალში, ჯო? ყველაფერი ზედმეტად კარგადაა“.

სენატორისთვის ეს იმდენად მძიმე პერიოდი იყო, რომ სუიციდზეც კი დაიწყო ფიქრი, თუმცა მისმა ბიჭებმა და მათზე ზრუნვამ, მალევე დაუბრუნა ცხოვრების სურვილი. ის თანამდებობაზე უარის თქმასაც კი აპირებდა, რათა მძიმედ დაშავებულ შვილებზე ეზრუნა, თუმცა ბიჭების ჯანმრთელობის გაუმჯობესებული მდგომარეობა, მისგან ამ მსხვერპლს არ მოითხოვდა. მიუხედავად ყველაფრისა, პირველ რიგში, ის იყო მამა და მისი პრიორიტეტი ყოველთვის შვილები იყვნენ, რასაც საკუთარი ქმედებებითაც ამტკიცებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჯო ბაიდენის სენატორად დამტკიცების ცერემონია იმ საავადმყოფოში შედგა, სადაც მისი შვილები მკურნალობდნენ. რამდენიმე თვის შემდეგაც კი, ვაშინგტონში მუშაობის მიუხედავად, სენატორი მატარებლით რამდენიმესაათიანი მგზავრობის შემდეგ, ყოველ საღამოს ბრუნდებოდა სახლში და სადილობდა თავის ბიჭებთან ერთად, რათა მათ მამის მზრუნველობა არ მოჰკლებოდათ და დილით სკოლაში გაეცილებინა.

1977 წლის ივნისში, მეორედ, მასწავლებელ ჯილ ბაიდენზე დაქორწინდა და მასთან ქალიშვილი – ეშლი შეეძინა.

„მან ჩემი დაკარგული სიცოცხლე დამიბრუნა და პირველად დამაფიქრა, რომ ჩემი ოჯახი ისევ სრულფასოვანი შეიძლება ყოფილიყო“, – ამბობს ბაიდენი მეორე მეუღლეზე.

ამ დიდი ტრაგედიის შემდეგ, ცხოვრება თითქოს ჩვეულ რეჟიმში ჩადგა და ჯო ბაიდენმა კარიერული წინსვლა განაგრძო – 2008 წელს არჩეული პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადამინისტრაციაში, ვიცე-პრეზიდენტი გახდა. სწორედ ვიცე-პრეზიდენტობის დროს დაატყდა თავს მეორე ტრაგედია – მის ვაჟს, ბო ბაიდენს, თავის ტვინის კიბოს აგრესიული ფორმა აღმოაჩნდა და მალევე გარდაიცვალა. 45 წლის ბო ბაიდენს ორი შვილი ჰყავდა და წარმატებული კარიერა ჰქონდა, რითაც მამა ყოველთვის ამაყობდა. მან იმსახურა ჯარში, იბრძოდა ერაყში, შემდეგ კი დელავერის შტატის გენერალური პროკურორის თანამდებობა ეკავა. მამა-შვილი ძალიან აქტიურად საუბრობდა პოლიტიკაზე და იმაზეც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბაიდენის საპრეზიდენტო კამპანია. პოლიტიკა იყო ის თემა, რომელმაც ისინი უფრო დააახლოვა და მათი ურთიერთობა განსაკუთრებული გახადა. ჯო ბაიდენი, ბოს, პოლიტიკაში მისი საქმის მემკვიდრედ, მის გამგრძელებლად და მასზე ბევრად უკეთესს და ღირსეულ ვერსიად მიიჩნევდა. ის ყოველთვის თვლიდა, რომ ერთ დღეს, ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აუცილებლად დაიკავებდა მნიშვნელოვან ადგილს. ბოს გარდაცვალების შემდეგ კი, ბაიდენისთვის კიდევ ერთი კრიზისული პერიოდი დადგა. სწორედ ამ ტრაგედიისა და დიდი დანაკარგის გამო, 2016 წელს, მან უარი თქვა, გამხდარიყო საპრეზიდენტო კანდიდატი. 2020 წლის საარჩევნო კამპანიისას, კანდიდატი ჟურნალისტებთან აღნიშნავდა, რომ არჩევნებში მონაწილეობით, ბოსთვის მიცემულ პირობას ასრულებდა, რაც ძალიან დიდ ძალას აძლევდა. სწორედ ამიტომ, ბოზე ლაპარაკის დროს, ემოციებს ვერასდროს მალავს.

„მე კი არა, ბო უნდა იყრიდეს კენჭს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად“, – თქვა ბაიდენმა 2020 წლის იანვარში – „ის არის ჩემი, მეორე შვილის, ჰანტერისა და ეშლის განუყრელი ნაწილი“.

მეორე შვილთან, ჰანტერ ბაიდენთან კი, უკვე ამჟამინდელ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს ჰქონდა ბევრი შეკითხვა და პრობლემა, უკრაინასთან და ჩინეთთან უკანონო საქმიანი კავშირების გამო მაშინ, როდესაც მამამისი, ვიცე-პრეზიდენტი იყო. რესპუბლიკელების თქმით, ის სარგებლობდა მამის თანამდებობით და სწორედ ამის გამო, ისიც აქტიურად იყო ჩართული 2020 წლის საპრეზიდენტო კამპანიაში. მას ახსენებენ იმასაც, რომ ის წარსულში, სხვადასხვა სახის ნარკოტიკზე იყო დამოკიდებული, რაც ტრამპმა, დებატების დროსაც გაახსენა მოწინააღმდეგეს. ჯო ბაიდენმა კი უპასუხა, რომ ის ძალიან ამაყობს მისი შვილით, რადგან მას, ისევე, როგორც ძალიან ბევრ ადამიანს ამერიკაში, ნამდვილად ჰქონდა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების პრობლემა, თუმცა მან ის დასძლია, დაამარცხა და ამაში სასირცხვილო არაფერია. ეს საპრეზიდენტო დებატების ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იყო.

დახასიათებებისას, მეგობრები და ნაცნობები ამბობენ, რომ ჯო ბაიდენი ადამიანია, რომელიც ყველაფრისა და ყველა ტრაგედიის მიუხედავად, აუცილებლად პოულობს ძალას, ფეხზე დადგეს და ნელ-ნელა გააგრძელოს ცხოვრება.

ჯო ბაიდენი საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა – პირველად 2008 წელს, ომიდან რამდენიმე დღეში, როცა იგი სენატში, საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ჰუმანიტარული დახმარება გადასცა ომით დანგრეულ ქვეყანას და 2009 წელს. ჯო ბაიდენი საქართველოს ხელისუფლებამ წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა!

ბავშვებს საჩუქრები მიჰვრეს

აშშ-ში, ქალაქ სან-ანტონიოში, კომუნალური მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლებმა, ღარიბი ოჯახების ბავშვებისთვის საჩუქრების 200 პაკეტი მოაგროვეს. თუმცა შობის ღამეს, როდესაც საჩუქრები უნდა დაერიგებინათ, პაკეტები ვეღარ იპოვეს. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ საჩუქრები ვიღაცამ მოიპარა, მეურნეობის თანამშრომლებმა ხელი მაინც არ ჩაიქნიეს და „ჩაშლილი შობის“ გამოსწორება გადაწყვიტეს. საკუთარ საიტზე ეს დასანანი შემთხვევა გამოაქვეყნეს და დახმარება ითხოვეს. საპასუხოდ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ათჯერ მეტი საჩუქრები შეაგროვეს. რამდენიმე დღის განმავლობაში, არაკომერციული ორგანიზაციის დახმარებით, კომუნალურმა სამმართველომ ბავშვებისთვის 18 ათასი დოლარის ღირებულების 2 ათასზე მეტი სათამაშო შეაგროვა.

როგორ ებრძვიან ნაბახუსევს მეგაპოლისებში

ნანატრი ზამთრის დღესასწაულები ბევრისთვის სასიამოვნოდ არ სრულდება. დღესასწაულის მეორე დილით, უამრავ ადამიანს არანორმირებული სასმელ-საჭმელის მიღების მძიმე შედეგებთან უწევს ბრძოლა. რა მეთოდებს მიმართავენ ამ შემთხვევაში პლანეტის უდიდესი ქალაქების მცხოვრებლები? დავიწყოთ პარიზით, სადაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში, ნაბახუსევთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად კოქტეილი „სისხლიანი მერი“ მიიჩნევა. სასმელი დედამიწის ნებისმიერ ნაწილში შეგიძლიათ მიირთვათ, მაგრამ ის სწორედ პარიზში, არრყ'ს ‍ეწ ორკ-ის ბარში, 1921 წელს შეიქმნა.

რა ხდება მსოფლიოს სხვა მეგაპოლისებში? მაგალითად, ლონდონში, ნაბახუსევს ცხელი, მდნარი ყველით ებრძვიან. გახუხულ პურის ნაჭერს ორივე მხრიდან უსვამენ კარაქსა და მდოგვს, ზემოდან კი გახეხილ ჩედერს აყრიან. ტაფაზე ან ჰაერღუმელში ორი წუთით დებენ და ნაბახუსევის წამალიც მზად არის; ბერლინელები ღორის ხორცის სოსისებს ანუ კარივურსტს აღმერთებენ და მას ნაბახუსევზე პანაცეად მიიჩნევენ. წვრილად დაჭრილ, შემწვარ სოსისებს მწარე კეტჩუპს ასხამენ და დაფქვილ კარის აყრიან; დანიის დედაქალაქის, კოპენჰაგენის მცხოვრებნი ასეთ სიტუაციაში უპირატესობას შემწვარი ღორის ხორცის სენდვიჩებს — Flæskestegssandwich ანიჭებენ. შემწვარი ხორცის დიდი ნაჭრებს კიტრის მარინადთან ერთად, ასევე, წითელ კომბოსტოსა და მაიონეზს ერთ ფუნთუშაში ათავსებენ. სენდვიჩი მშიერსაც ანაყრებს და თავის ძლიერ ტკივილსაც შველის; „მწვანე კონტინენტზე“, სიდნეიში, დღესასწაულის შედეგებს დარბილებული ავოკადოს ტოსტებითა და მოხარშული კვერცხით ანეიტრალებენ. ავოკადოში კალიუმის მაღალი შემცველობაა, ხოლო — ვიტამინი კვერცხში, ამ კერძს შესანიშნავ „ანტისაპახმელიო“ საშუალებად აქცევს; ტოკიოს მოსახლეობას უზარმაზარი არსენალი აქვს წინა ღამის ლოთობის შედეგებთან საბრძოლველად. მათ შორისაა, ცხელი ლაფშა — სობა. ნაბახუსევს შველის ტემპურა (ჩაშუშული ზღვის პროდუქტები და ბოსტნეული), რომელსაც უმ კვერცხსა და სოიოს სქელ სოუსს ამატებენ. ასეთი კერძი სწრაფად აბრუნებს ადამიანს „მუშა-მდგომარეობაში“.

გადავინაცვლოთ კანადის ფრანგულ ნაწილში, მონრეალში, სადაც ნაბახუსევის წინააღმდეგ, საკუთარი საშუალება აქვთ. ოუტინე — ეს ნაციონალური კერძია, რომელშიც შედის კარტოფილი-ფრი, ნაკლებმარილიანი ყველი და ცოტა მოტკბო სოუსი. ამ კერძში მარილის, ცხიმისა და ნახშირწყლების შერწყმა შესანიშნავად დაგაძლევინებთ დღესასწაულის უსიამოვნო შედეგებს; „დიდი ვაშლის“ — ნიუ იორკის მცხოვრებლები, როდესაც ჭარბი რაოდენობით იღებენ სპირტიან სასმელს, მეორე დილით უახლოეს კაფეში მიდიან, სადაც უკვეთავენ საუზმეს: შემწვარ კვერცხს, ცხიმიან ბეკონსა და ყველს, ჩვეულებრივი ყავის ნაცვლად კი, ყინულიან კოკა-კოლას მიირთმევენ. ყველაფერი ეს, ნიუ იორკელებს ნაბახუსევის დაძლევაში ეფექტურად ეხმარება.

ყველაზე ლამაზი სახე გამოავლინეს

ებრაული წარმოშობის მოდელი, იაელ შელბია მსოფლიოში ყველაზე ლამაზი სახის მქონე ქალად დასახელდა. ამ თემაზე ყოველწლიურ რეიტინგს ანუ პლანეტის 100 ყველაზე მომხიბვლელი ადამიანის სიას — Independent Critics აქვეყნებს. 19 წლის ებრაელი ლამაზმანი პირველად მოექცა რეიტინგის სათავეში. მიღებული ხმების რაოდენობით, შელბიამ აჯობა ტაივანელ მომღერალ ლისა მანობანს, ავსტრალიელ მოდელ მეიკა ვულარდს და ტაივანელ მომღერალ Cjou cziuis. ცოტა ხნის წინ, გამოავლინეს ყველაზე მომხიბლავი მამაკაციც ჩვენს პლანეტაზე — ეს მსოფლიოში პოპულარული ბლოგერი, ფელიქს PewDiePie ჩელბერგია.

საკუთარი და გაჩენა

შოტლანდიის ქალაქ ინვერნესში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა საკუთარ დედას შვილი გაუჩინა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, 25 წლის ჰოლი სამერსმა გადაწყვიტა, დახმარებოდა დედას — ფეის, რომელმაც 51 წლის ასაკში, ახალი ქმრისგან შვილის ყოლა გადაწყვიტა. პრობლემა ის იყო, რომ დედა სტერილიზებული გახლდათ. ჰოლი კვერცხუჯრედის დონორი და ასევე, სუროგატი დედა გახდა. შედეგად, ამ ქვეყანას მოევლინა გოგონა უილოუ. ბედნიერი ფეი აცხადებს, რომ ასეთი საქციელის გამო, უზომოდ მადლიერია ქალიშვილის. როცა უილოუ გაიზრდება, ის აუცილებლად შეიტყობს საკუთარი წარმოშობის შესახებ, — ამბობს ჰოლის დედა.

შობის შესახვედრად პოლიცია გამოიძახა

იტალიაში, ქალაქ ალტო-რენე-ტერმეში, 94 წლის პენსიონერმა, მალავოლტი ფიორენცომ პოლიციის თანამშრომლები გამოიძახა, რადგან არ სურდა, შობის დღესასწაულს მარტო შეხვედროდა. ხანდაზმულმა მამაკცმა განყოფილებაში დარეკა და მაშინვე განაცხადა, რომ ყველაფერი რიგზე ჰქონდა: „უბრალოდ, მინდა გვერდით ადამიანი მყავდეს, რომელთან ერთადაც დღესასწულს აღვნიშნავ და სადღეგრძელოებს ვიტყვი. თუ რომელიმე თანამშრომელი თავისუფალია, სულ 10 წუთით მოვიდეს ჩემთან“, — ითხოვა პენსიონერმა.

სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, მარტოხელა მოხუცი არ გაეწბილებინათ და მასთან სტუმრად წავიდნენ. შობას ერთად შეხვდნენ და მასპინძელი გაამხიარულეს.

ნაძვის ხე ყუალეტის ქალაქში მორთეს

ყირიმში, ქალაქ იალტაში, საახალწლო ნაძვის ხე ტუალეტის ქაღალდით „მორთეს“. ნაძვის ხე ქალაქის მე-10 მიკრორაიონში მდებარეობს და როგორც გაირკვა, ასეთი უჩვეულო საახალწლო დიზაინი ტრადიცია ყოფილა, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოდის. ადგილობრივების თქმით, ნაძვის ხე იალტის მთავარ სავაჭრო ცენტრთან მდებარეობს, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობაა. პირველი ტუალეტის ქაღალდი ამ ხეზე 1993 წლის დეკემბერში გაჩნდა და მას შემდეგ, იალტელები ტრადიციას არ ღალატობენ.

სოკო სიმსივნის წინააღმდეგ

ცოტა ხნის წინ, ტადტსის კვლევითი ცენტრის ამერიკელმა სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ქამა სოკო კიბოსთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. მკვლევარებმა სოკოს ანტისიმსივნური თვისებები აღმოაჩინეს და დაადგინეს, რომ ქამა სოკო, დაახლოებით, 20 ამინომჟავას შეიცავს, მათ შორის, ლიზინს, ცისტეინს, ისტინს, ტრეპტოფანს და ტრიონინს. ყველა ეს ნივთიერება განსაკუთრებით ეფექტურია კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ააქტიურებენ უჯრედებს, რომლებიც სისხლის თეთრი სხეულების — T-ლიმფოციტების წარმოქმნაზე ზემოქმედებენ. მისი სიჭარბის შემთხვევაში, სიმსივნურ უჯრედებს არ შეუძლიათ, შეეწინააღმდეგონ იმუნურ სისტემას.

ჯექსონის ძაძული ქაიყიდა

პოპი მეფის, მაიკლ ჯექსონის ცნობილი მამული — Neverland-ი 28.8 მილიონ დოლარად გაიყიდა. მისი ახალი მფლობელი მილიარდერი რონ ბარკლია. მამული კალიფორნიის შტატში მდებარეობს და მომღერალი აქ 15 წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. Neverland-ი 1982 წელს აშენდა. მამულში მდებარე სახლში 6 საძინებელი, აუზი, ასევე, ულამაზესი ბაღები და ზოოპარკია. ამ ტერიტორიაზე მდებარეობს ტბა და სამი სასტუმრო სახლი — მშვენიერი ხედებითა და მთების პეიზაჟით. შენობაში განთავსებულია 50-ადგილიანი კინოთეატრი და ცეკვის სტუდიაც კი. მომღერალმა მამული 1988 წელს შეიძინა. ჯექსონის სახლი გასაყიდად მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ გამოიტანეს. 2019 წელს, Neverland-ი 31 მილიონად იყიდებოდა, თუმცა ბოლო მომენტში გარიგება ჩაიშალა.

საგზაო პოლიციაში მხოლოდ ქალები იმუშავებენ

უახლოეს მომავალში, პერუს დედაქალაქ ლიმას გზებზე, უსაფრთხოებას სუსტი სქესის წარმომადგენლები დაიცავენ. ახალი პროექტის მიხედვით, საგზაო პოლიციაში მხოლოდ ქალები იმუშავებენ. ასეთი გადაწყვეტილება ლიმას მუნიციპალიტეტმა მას შემდეგ მიიღო, რაც გამოკვლევებით დადგინდა, რომ პოლიციელი მანდილოსნები, მამაკაც კოლეგებზე მეტად მკაცრები არიან და კორუფციისკენაც ნაკლები მიდრეკილება აქვთ. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეს, საგზაო პოლიციაში კაცები ქალებით ჩაანაცვლონ. 8-მილიონიან ქალაქს, თავისი ქაოტური მოძრაობით გზებზე, სუსტი სქესის წარმომადგენლები ტოტალურ კონტროლს გაუწევენ.

"ჯადოსნური" ჩხირები ღვინისთვის

ბევრ ადამიანს უყვარს ღვინის წრუპვა და სიამოვნების მიღება. სამუშაო დღის ბოლოს, ერთი ბოკალი სასმელი შეუფასებელი რიტუალია მილიონობით მამაკაცისა და ქალისთვისაც. თუმცა ზოგჯერ, ეს სიამოვნება დილით შემაწუხებელი თავის ტკივილითა და უხასიათობით იცვლება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ამერიკულმა კომპანიამ ურეწინე, ახალი მეთოდი მოიფიქრა, რომელითაც შესაძლებელია, რომ ადამიანმა, ყოველგვარი გვერდითი ეფექტების გარეშე, ღვინით ისიამოვნოს.

კომპანიის სპეციალისტებმა ერთგვარი „ჯადოსნური“ ჩხირები შექმნეს, რაც ჩაის ერთჯერად პაკეტებს ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პლასტმასის ჯოხზეა ნამოცმული. ეს ჯოხი ღვინოში, მის მოხმარებამდე 3-4 წუთით ადრე, უნდა მოთავსდეს. „ჯადოსნური“ ჩხირი ნანოფორებს შეიცავს, რომელიც ამცირებს კონსერვანტების — ჰისტამინისა და სულფიდების დონეს სასმელში და ღვინის მირთმევის შემდეგ, ნეგატიურ შედეგებს აღმოფხვრის. რვა ჩხირისგან შემდგარი კომპლექტი, 18 დოლარი ღირს.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.